კლიმატის ცვლილების შერბილება	ტყის აღდგენა	• მშენებლობის დროს ან - წყალსაცავის შევსების დროს დაკარგული ტყის აღსადგენად ახალი ხეების დათესვა, რაც ხელს შეუწყობს ნახშირბადის შთანთქმას	“აჭარისწყალი ჯორჯია”	მშენებლობა და ოპერირება	და	• დარგული ხეების რაოდენობა	აჭარის ბსგ-ს OEMP

2.2.11 კულტურული მემკვიდრეობა და არქეოლოგიური ძეგლები

ცხრილი 2.11. არქეოლოგია/კულტურული მემკვიდრეობა (მშენებლობა)

მიზანი	საკმიანობა	შერბილება/გაუმჯობესება	სტანდარტი	პასუხისმგებლობა	ვადა	მონიტორინგი/KPI	განხორციელების გზა/გეგმა
--------	------------	------------------------	-----------	-----------------	------	-----------------	--------------------------

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების თავიდან აცილება	ელექტროსა და დამზის მშენებლობა	- გადატანა ან შესაბამისი დიზაინი; - კულტურული მემკვიდრეობის მახასიათებლების შესანარჩუნებლად სადგურის და დამზის მშენებლობაში შესაბამისი მასალების გამოყენება	მსოფლიო ბანკის ფიზიკური კულტურული რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელო IFC PS8 - კულტურული მემკვიდრეობა	კონტრაქტორი	მშენებლობის დროს	“აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ კონტრაქტორის შემოთავაზებული დიზაინის დამტკიცება	პროექტის მიმოხილვა
აღურიცხავი არქეოლოგიური ძეგლების დაზიანების თავიდან აცილება	გათხრითი სამუშაოები მშენებლობის ფაზაზე	- აღმოჩენის სტრატეგია უნდა იყოს ამოქმედებული პროექტის ყველა მიწის სამუშაოს განხორციელების დროს, გარდა გათხრითი სამუშაოების, გვირაბის მოწყობის (გვირაბგამყვანი მანქანის გამოყენების დროს) და აფეთქებების დროს; - ნებისმიერი აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქართველოს და აჭარის სააგენტოებს	მსოფლიო ბანკის ფიზიკური კულტურული რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელო IFC PS8 - კულტურული მემკვიდრეობა	კონტრაქტორი	მშენებლობის დროს	“აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ კონტრაქტორის CEMP და აღმოჩენის პროცედურების მიმოხილვა და ასევე ამ საქმიანობის განხორციელების აუდიტი; - აღმოჩენების შეტყობინება საქართველოს და ასევე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოებში	შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების პროცედურები

2.2.12 ლანდშაფტი და ვიზუალური მხარე

ცხრილი 2.12. ლანდშაფტი და ვიზუალური მხარე

მიზანი	საქმიანობა	შერბილება/გაუმჯობესება	სტანდარტი	პასუხისმგებლობა	ვადა	მონიტორინგი/KPI	განხორციელების გზა/გეგმა
--------	------------	------------------------	-----------	-----------------	------	-----------------	--------------------------

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ



მშენებლობით გამოწვეული ვიზუალური ზემოქმედების შემცირება	ტერიტორიის გაწმენდა, გზის მოწყობა, მასალების მოპოვება	- სამშენებლო უბნებზე სისუფთავის შენარჩუნება; - სამშენებლო უბნების გარშემო მცენარეული საფარისგან გაწმენდის შემცირება; - ლანდშაფტის დაგეგმარების სტრატეგია, რომლის საშუალებითაც მოხდება შესაბამისი სარეკულტივაციო სამუშაოების განსაზღვრა (ბსგ)	-	კონტრაქტორი	მშენებლობის დროს	“აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ კონტრაქტორის CEMP-ის მიმოხილვა; “აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ეკოლოგიის მენეჯერი ატარებს სატრანსპორტო საშუალებების ვიზუალურ დაკვირვებას კვირაში ორჯერ;	ეკოლოგიური მართვის გეგმა ბსგ
ვიზუალური ზემოქმედების კვალის შემცირება	დამბები, ელექტროსა დგურები, გზები, ა.შ.	ლანდშაფტის დაგეგმარების სტრატეგია, რომლის საშუალებითაც მოხდება შესაბამისი სარეკულტივაციო სამუშაოების განსაზღვრა (ბსგ)	-	“აჭარისწყალი ჯორჯია“/კონტრაქტორი	მშენებლობის დროს დაწყება და გაგრძელება ოპერირების ფაზაზე	ტყის და ბსგ მცენარეული საფარის აღდგენითი სამუშაოების კვლევა	

3 გეგმები, პოლიტიკა და პროცედურები

3.1 შესავალი

მოცემული ESMP-ის წინამორბედ თავში განხილული იყო აჭარის პროექტისთვის ყველა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიება, რომელთა განსაზღვრა მოხდა გზშ-ს ფარგლებში. შემარბილებელი ღონისძიებების გატარება მხდება რიგი გეგმების მეშვეობით. დოკუმენტის ამ თავში წარმოდგენილია ის გეგმები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების ადეკვატური მართვის და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად პროექტის თითოეული კომპონენტის მშენებლობამდე და სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებამდე “აჭარისწყალი ჯორჯია” (და შესაბამისი კონტრაქტორები) წარმოადგენენ უფრო დეტალურ ჩარჩოს ყოველი გეგმის, პოლიტიკის და პროცედურის გარშემო. ცხრილში 3.1. მოცემულია ძირითადი გეგმები და პოლიტიკები.

ეს ჩარჩო გეგმები სამომავლოდ კიდევ უფრო დაიხვეწება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემის განვითარების პარალელურად. სათანადო შემთხვევებში, კონტრაქტორებს მოეთხოვებათ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება (როგორც ეს გაწერილია მოცემულ დოკუმენტში).

გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმასთან ერთად მოცემულმა ESMP-მა მოიცვა შემდეგი ჩარჩო გეგმები:

- CEMP ჩარჩო;
- დასაქმების გეგმა;
- ადამიანური რესურსების გეგმა;
- მუშათა საჩივრების გეგმა;
- ადგილობრივი უნარების განვითარების გეგმა;
- მასალებით სარგებლობის და ნარჩენების მართვის გეგმა;
- საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა;
- მუშების დროებითი საცხოვრებელი ბინების მართვის გეგმა;
- არქეოლოგიური აღმოჩენების პროცედურა;
- ადაპტური მართვის გეგმა;
- ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა.

გარდა ამისა, პროექტისთვის საჭირო იქნება ასევე შემდეგი გეგმები:

- საზოგადოების საჩივრების მექანიზმი;
- საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და მათზე რეაგირების გეგმა (EPRP)
- გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემა.

საზოგადოებრივი საჩივრების მექანიზმი განხილულია გზშ-ში. EPRP-ის მომზადება წარმოადგენს IFC-ის შესრულების პირველი სტანდარტის მოთხოვნას. დოკუმენტში წარმოდგენილია “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს და კონტრაქტორების მიერ განხორციელებულ

საფრთხეების და ქმედუნარიანობის (HAZOP) კვლევაზე დაფუძნებული EPRP ჩარჩო დეტალური გეგმებით. EPRP იქნება უფრო ფართო მასშტაბიანი გეგმების შემადგენელი ნაწილი, რომელიც უნდა განხორციელდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს EHS განყოფილების მიერ.

ცხრილი 3.1. გეგმები, პოლიტიკა და პროცედურები

IFC შესრულების სტანდარტი	გეგმა/პოლიტიკა	მიზანი/შინაარსი	ვადა	პასუხისმგებლობა	ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობა
PS1: ბუნებრივი და სოციალური გარემოს რისკები და შეფასება; PS3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია	ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის გეგმა (კონტრაქტორისგან დამოუკიდებლად შემუშავებული)	უსაფრთხო სამუშაო გარემო, პროცედურები და კულტურა. დამატებითი პროცედურები შემუშავდება საიტის აუდიტთან შესაბამისობაში. IFC PS2 - შრომის პირობები. IFC EHS ზოგადი სახელმძღვანელო პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე (OHS).	სისტემის ამოქმედება მშენებლობის დაწყებამდე, დამატებითი გეგმების შემუშავება საჭიროებისამებრ	კონტრაქტორი პროექტის მენეჯერი (მშენებლობა)/გენერალური მენეჯერი (ოპერირება)	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დირექტორატი
	მშენებლობის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (CEMP) (იხ პარაგრაფი 3.2.)	პროექტის მშენებლობის ფაზისთვის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება და ზემოქმედებების თავიდან აცილება, შემცირება და შერბილება; მშენებლობის ეტაპზე ყოველი კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს CEMP, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს IFC EHS	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	კონტრაქტორი ეკოლოგიური მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი (მშენებლობა)	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დირექტორატი

სახელმძღვანელოს,
ასევე გაატაროს გზშ-ს
ფარგლებში
დადგენილი ყველა
შემარბილებელი
ლონისძიება. ყველა
კონტრაქტი მოიცავს
CEMP-ის ჩარჩოს.

მასალების გამოყენება და ნარჩენების მართვის გეგმა (იხ. დანართები)	მშენებლობის ფაზაზე საქმიანობის განხორციელება CEMP-ის მიხედვით. ნარჩენების მინიმიაზაციის და სამშენებლო ნარჩენების უსაფრთხო განთავსების ლონისძიებების განსაზღვრა	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	კონტრაქტორი ეკოლოგიური მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი (მშენებლობა)	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დირექტორატი
არქეოლოგიური აღმოჩენების პროცედურა (იხ. დანართები)	იხ. მსოფლიო ბანკის ფიზიკური კულტურის რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელო	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	კონტრაქტორი ეკოლოგიური მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი (მშენებლობა)	საქართველოს და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოების შეტყობინება.

PS2: შრომის პირობები	დასაქმების პოლიტიკა და ადამიანური რესურსების პოლიტიკა ადგილობრივი უნარების განვითარების პროგრამა	სამართლიანი დასაქმება/კონფლიქტების თავიდან აცილება. ბავშვთა და იძულებითი შრომის აკრძალვა, დისკრიმინაციის არდაშვება და თანაბარი შესაძლებლობები. დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის ხელშეწყობა ეთნიკურ ჯგუფებსა და ქალებში. იხ: • IFC PS2 - შრომის პირობები და ILO ძირითადი უფლებების კონვენციები: იძულებითი და ვალდებულებითი შრომის დაუშვებლობა (კონვენციები 29/105) - მიღებული 1950/1999 წ.	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	კონტრაქტორის დასაქმების მომსახურების ოფიცერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი	მუნიციპალიტეტის დონეზე შრომის სააგენტო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
მუშათა გეგმა (იხ. დანართები)	საჩივრების შემოსვლის ფორმალიზებული პროცესი, რომლის საშუალებითაც მუშებს მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე შეეძლება საჩივრების შემოტანა, ხოლო “აჭარისწყალი	საჩივრების შემოსვლის ფორმალიზებული პროცესი, რომლის საშუალებითაც მუშებს მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე შეეძლება საჩივრების შემოტანა, ხოლო “აჭარისწყალი	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	სამშენებლო პროექტის მენეჯერი/მშენებლობაზე დასაქმების მომსახურების ოფიცერი	მუნიციპალიტეტის დონეზე შრომის სააგენტო

		ჯორჯია“-ს ექნება საჩივრების განხილვის და მათზე რეაგირების საშუალება			
მუშების დროებითი საცხოვრებელი ბინების მართვის პროცესი (იხ. დანართები)		ამუშავება მშენებლობის ფაზაზე. გეგმა უნდა შეესაბამებოდეს CEMP-ს.	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ	სამშენებლო პროექტის მენეჯერი/მშენებლობაზე დასაქმების მომსახურების ოფიცერი	მუნიციპალიტეტის დონეზე შრომის სააგენტო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
PS3: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და მათზე რეაგირების გეგმა (EPRP) (იხ. პარაგრაფი 3.4)	-	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ	სამშენებლო გარემოსდაცვითი მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი	-
	საზოგადოების საჩივრების გეგმა	საჩივრების შემოსვლის ფორმალიზებული პროცესი, რომლის საშუალებითაც საზოგადოებას მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე შეეძლება საჩივრების შემოტანა, ხოლო “აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ექნება საჩივრების განხილვის და მათზე რეაგირების	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ	მშენებლობის საზოგადოების კავშირების და მშენებლობის ოფიცერი	-

		საშუალება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიხედვით						
საგზაო მართვის დანართები)	მოძრაობის გეგმა (იხ. გეგმა	ამუშავება მშენებლობის გეგმა შეესაბამებოდეს CEMP-ს.	ფაზაზე. უნდა	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	სამშენებლო გარემოსდაცვითი მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი	საქართველოს მუნიციპალიტეტის საპატრულო დეპარტამენტები	მთავრობის სატრანსპორტო და	
PS6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	ეკოლოგიური მართვის გეგმა	- უბნის მცენარეული საფარისგან გაწმენდის და მდინარეზე განსახორციელებე ლი სამუშაოების პროცედურების განსაზღვრა; - ტერიტორიის გაწმენდამდე სახეობების კვლევა და აღწერა; - CWO-თან თანამშრომლობა; - ჰაბიტატის აღდგენის პროცედურების განსაზღვრა; - თანამშრომლებში ცნობიერების ამაღლება; - ნადირობის და		დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	სამშენებლო გარემოსდაცვითი მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დირექტორატი		

- თევზჭერის აკრძალვა; სახმელეთო და წყლის ჰაბიტატებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (ბსგ) (იხ. პარაგრაფი 3.5.)	ბსგ-ს მთავარი მიზანია თავიდან აიცილოს ჰაბიტატის მთლიანი დაკარგვა. ბსგ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: • სავალდებულო მოთხოვნების განსაზღვრა; • ეკოლოგიური ფონური მდგომარეობის აღწერას; • პროექტის შედეგად ძირითადი მიყენებული ზემოქმედებები და შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებები; • ბსგ-ს მთავარი მიზნები; • საკონსერვაციო პრიორიტეტები ს და ბსგ-ში გაწერილი ღონისძიებების	მშენებლობის დაწყებამდე ბსგ-ს ფაზის პირველი განხორციელება და მშენებლობის დაწყების ფაზებზე გაგრძელება	“აჭარისწყალი ჯორჯია” დანიშნავს CWO-ს, რომლის პასუხისმგებლობა იქნება ბსგ-ში გაწერილი მოვალეობების შესრულება. კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან დანიშნონ ეკოლოგიის კლერკი (ECW) რომელიც იმუშავებს CWO-თან.	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დირექტორატი
--	---	---	---	--

განხორციელები ს პროცესები; • ბსგ-ში დასამატებელი ლონისმიებები; • ბსგ-ს მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესების საკითხები						
PS3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და PS6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	წყლის რესურსების და წყლის ხარისხის მართვის გეგმა ადაპტური მართვის გეგმა	ქვედა დინების ხარჯის განმსაზღვრელი მონიტორინგის პროგრამა სუსტი დინების დროს (როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზებზე); მიწისქვეშა წყლებზე მიყენებული ზემოქმედების მონიტორინგის პროგრამა მიწის სამუშაოების დროს (მაგალითად, გვირაბის მოწყობა); მიზანს წარმოადგენს წყლის (მიწისქვეშა და ზედაპირული) ხარისხის შენარჩუნება. მაგალითად, დიდი რაოდენობის ხარჯი უნდა გატარდეს წყლის ბიომრავალფეროვნები	დაუყოვნებლივ: გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი კონტრაქტორის მიერ და დამოწმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ	სამშენებლო გარემოსდაცვითი მენეჯერი და მშენებლობის პროექტის მენეჯერი “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ ადაპტური მართვის გეგმის შემუშავება და გატარება	ენერგეტიკის სამინისტრო გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დირექტორატი	

ს დირეზულების
შესანარჩუნებლად.

3.2 სამშენებლო ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა

3.2.1 შესავალი

ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში აღწერილია სამშენებლო ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმის ჩარჩოს, რომელიც საჭიროა სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად და ასევე, გზშ-ში გაწერილი შემარბილებელი ღონისძიებების გასატარებლად. ყოველი კონტრაქტორი ვალდებული იქნება წარადგინოს დეტალური CEMP, მათ შორის ნარჩენების, საგზაო მოძრაობის, დროებითი მუშების საცხოვრებელი ბინების, მუშების შრომის პირობების და არქეოლოგიური აღმოჩენების მართვის პროცედურები. CEMP-ის ეს ჩარჩო თან დაერთვება კონტრაქტებს და წარმოადგენს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისადმი მიდგომის საფუძველს.

კონტრაქტორების მიერ შემუშავებულ CEMP-ს დაერთვება ზოგადი გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემა, რომელიც უნდა შემუშავდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ.

ყველა CEMP უნდა აკმაყოფილებდეს IFC-ის გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელოებს მშენებლობის ყველა უბანსა და ფაზაზე.

3.2.2 მიდგომა

3.2.2.1 CEMP-ის მომზადება კონტრაქტორების მიერ

კონტრაქტორებმა უნდა მოამზადონ მოცემულ ჩარჩოზე დაფუძნებული CEMP, რომელიც ასევე უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს. მისი სტრუქტურა შემდეგნაირია:

1. CEMP, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ და საექსპლუატაციო პროცედურებს გზშ-ში წარმოდგენილი და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გასატარებლად;
2. სპეციფიკურ პარალელურ გეგმებს და პოლიტიკებს, რომელთა ფარგლებშიც შემუშავებულია თემების და განხორციელების პასუხისმგებლობის, ტექნიკური დეტალების და განხორციელების მონიტორინგისკენ მიმართული გარემოსდაცვითი/სოციალური მენეჯმენტის ღონისძიებები. კონტრაქტორებს მოეთხოვებათ ამ გეგმების შემუშავება. გეგმების საშუალებით მოხდება სამშენებლო სამუშაოების მართვა გზშ-ს და IFC EHS სახელმძღვანელოების მიხედვით.

კონტრაქტორების მიერ შემუშავებული CEMP-ის შინაარსი და შესაბამისი სახელმძღვანელოები და სტანდარტები განსაზღვრულია თითოეულ კონტრაქტში ინდივიდუალურად. თითოეული კონტრაქტორის CEMP-მა უნდა მოიცავს შესრულების/მონიტორინგის ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება მოცემული დოკუმენტის მე-2 თავში წარმოდგენილ ინდიკატორებთან.

კონტრაქტორის CEMP-ს უნდა ჰქონდეს შემდეგი მიზნები:

- მშენებელი კონტრაქტორებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის წარდგენა;
- საექსპლუატაციო და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცედურების წარდგენა, რომლებიც მოიცავენ ეკოლოგიურ ასპექტებს და სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს;
- CEMP-ის განხორციელების დაზუსტება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტრუქტურა და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია, პერსონალი კვალიფიცირებული და კომპეტენტურია, ხოლო კომუნიკაცია, დოკუმენტირება, ექსპლუატაციის კონტროლი და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება ადეკვატურია;
- CEMP-ის განხორციელებისთვის საორგანიზაციო და ტექნიკური პროცედურების წარდგენა, რის საშუალებითაც მოხდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული საქმიანობის სრული კონტროლის და პასუხისმგებლობის პირობებში განხორციელების უზრუნველყოფა;
- მონიტორინგის და გაზომვების გზით მაკონტროლებელი და მაკორექტირებელი ღონისძიებების წარდგენა;
- ეფექტური აუდიტის უზრუნველსაყოფად მაკორექტირებელი ღონისძიებების/მონიტორინგის შესაბამისი ანგარიშების მექანიზმების უზრუნველყოფა.

კონტრაქტორების მიერ შემუშავებული ყველა გეგმა უნდა დამტკიცდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ, რაც უზრუნველყოფს კონტრაქტორების მიერ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის, მათ შორის შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებას. ყოველწლიური მონიტორინგის პროგრამის ფარგლები გეგმები წარედგინება IFI-ს და კრედიტორებს.

3.2.2.2 კონტრაქტორის მიერ CEMP-ის განხორციელების მონიტორინგი

CEMP-ის და შესაბამისი გეგმების და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სხვადასხვა კონტრაქტორს. მონიტორინგი მოიცავს სხვა ქვე-კონტრაქტორების მიერ განხორციელებულ საქმიანობას.

კონტრაქტორები დაიქირავებენ გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებში შესაბამის სპეციალისტთა ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მონიტორინგის განხორციელებაზე. გარდა ამისა, კონტრაქტორი მოამზადებს ანგარიშებს ჩატარებული სამუშაოების შესახებ და უზრუნველყოფს ყველა მაკორექტირებელი ღონისძიების განხორციელებას. ინსპექტირების და ანგარიშების მომზადების პერიოდულობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-თან.

3.2.2.3 “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ CEMP-ის განხორციელების მონიტორინგი და აუდიტი

“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ასევე ეყოლება სპეციალისტთა ჯგუფი გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო უბნების მონიტორინგსა და განხორციელებული საქმიანობის IFC EHS სახელმძღვანელოებთან

შესაბამისობის შეფასებაზე. სამ საფეხურიანი შეუსაბამობის სისტემა დანერგილი იქნება საქმიანობის პრიორიტეტებად დასაყოფად მათი მნიშვნელობის და სირთულის მიხედვით.

შეუსაბამობის პროცედურით შესაძლებელი გახდება შემდეგი დამცავი ზომების გატარება:

1. სერიოზული შეუსაბამობის შემთხვევაში სამუშაოების გაჩერება;
2. კონტრაქტორის მიერ სიტუაციის გამოსწორების დასადასტურებლად საიტის მონახულება;
3. გამოკვლევების საშუალებით მოხდება ინციდენტების გამომწვევი მიზეზების დადგენა და დოკუმენტირების პროცედურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შეფასება, რის მეშვეობითაც მომავალში იგივე შემთხვევების განმეორება თავიდან იქნება აცილებული.

პროცედურების მართებულობის შესამოწმებლად პერიოდული აუდიტი განხორციელდება დამოუკიდებელი მხარის მიერ, კერძოდ მშენებლობის დაწყებიდან ორ თვეში და ამის შემდეგ ექვს თვეში ერთხელ.

მონიტორინგი, შეუსაბამობის სისტემა და აუდიტი შესაძლებელს გახდის გარემოსდაცვითი საქმიანობის შეფასებას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების ანალიზს, კონტრაქტორების მოვალეობების და კანონიერი მოთხოვნების თანხედრის შეფასებას და საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის დროულ გამოვლენას.

3.2.3 ღონისძიებები

3.2.3.1 ბუნებრივი გარემო

IFC EHS-ის სახელმძღვანელოების მიხედვით, კონტრაქტორები ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაძლო ღონისძიება ხმაურის და ვიბრაციის, ნიადაგის ეროზიის, ჰაერის ხარისხის, მყარი ნარჩენების, სახიფათო მასალების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და ნიადაგის დაბინძურების მიმართებაში. გარდა ამისა, კონტრაქტორი ვალდებულია ჩაატაროს ყველა შემარბილებელი ღონისძიება, რომელიც გაწერილია გზშ-ს ფარგლებში და მიესადაგება მშენებლობის ფაზის ყველა საქმიანობას.

CEMP-ის პარალელურად შესამუშავებელი გეგმები და პოლიტიკები გზშ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის მოიცავენ, თუმცა არ შემოიფარგლებიან შემდეგით:

- მასალების და ნარჩენების მართვის გეგმა;
- არქეოლოგიური აღმოჩენების პოლიტიკა;
- ბიომრავალფეროვნების დაცვის და აღდგენის გეგმა.

3.2.3.2 სამუშაო პირობები

კონტრაქტორი ვალდებულია გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად. ყველა კონტრაქტორს ექნება ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემა და შესაბამისი პროცედურები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნება IFC EHS-ის სახელმძღვანელოებთან და უზრუნველყოფენ მშენებლობის ფაზაზე დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვას. სისტემა მინიმუმ უნდა მოიცავდეს: i) პოტენციური, განსაკუთრებით სიცოცხლისთვის საშიში, რისკების განსაზღვრას, ii) პრევენციული და დამცავი ღონისძიებების გატარებას, მათ შორის სახიფათო სიტუაციების მოდიფიკაციას, ჩანაცვლებას ან აღმოფხვრას; iii) პერსონალის წვრთნების პროგრამას; iv) შესაბამისი პერსონალის და დამცავი საშუალებების გამოვლენას და უზრუნველყოფას; v) უბედური შემთხვევების, დაავადებების და ინციდენტების დოკუმენტირებას და შეტყობინებას; vi) ავარიული სიტუაციების პრევენციას, მზადყოფნას და რეაგირებას. კონტრაქტორების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სისტემაში შესული პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ღონისძიებების მიმოხილვა ჩატარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო მოთხოვნებს. პარაგრაფში 2.2.2. მოცემულია გზშ-თი განსაზღვრული ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც ასევე უნდა იყოს კონტრაქტორების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სისტემის ნაწილი; ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემის მოთხოვნების განსაზღვრა CEMP-ის ფარგლებში არ ხდება.

გარდა დამოუკიდებელი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემისა, კონტრაქტორები შეიმუშავენ სამუშაო პირობების და მუშების ურთიერთობისკენ მიმართულ გეგმებს და პოლიტიკას, რომლებმაც უნდა მოიცვან შემდეგი:

- დასაქმების პოლიტიკა;
- მუშების საჩივრების მექანიზმი;
- დროებითი მუშების საცხოვრებელი ბინების მართვის გეგმა.

3.2.3.3 საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

IFC EHS-ის სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, კონტრაქტორები ვალდებული არიან შეიმუშაონ რისკის მართვის სტრატეგიები, რომ დაიცვან საზოგადოება (1) ფიზიკური, ქიმიური ან მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა სახის საფრთხეებისგან; (2) მომატებული სატრანსპორტო ნაკადით გამოწვეული პოტენციური საფრთხეებისგან; (3) გადამდები და ვექტორული დაავადებებისგან, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მუშების რაოდენობასთან.

CEMP-ის პარალელურად შესამუშავებელი გეგმები და პოლიტიკები გზშ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის მოიცავენ, თუმცა არ შემოიფარგლებიან შემდეგით:

- საზოგადოებრივი საჩივრების მექანიზმი;
- საგზაო ნაკადების მართვის გეგმა;

- საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და მათზე რეაგირების გეგმა.

3.2.4 პერსონალი და რესურსები

როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა საქმიანობის მომზადების, დამტკიცების, განხორციელების და მონიტორინგისთვის საჭირო იქნება როგორც “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს, ასევე კონტრაქტორების სპეციალური ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პერსონალი.

ამასთან, მონიტორინგის სხვადასხვა ღონისძიებების გასატარებლად საჭირო იქნება შესაბამისი აღჭურვილობა.

IFC EHS-ის სახელმძღვანელოების გათვალისწინება და დეტალური CEMP-ის შემუშავება (მოცემულ დოკუმენტთან შესაბამისობაში) იქნება ყველა კონტრაქტორის ვალდებულება. ამ ვალდებულებასთან თანხვედრისთვის კონტრაქტორები დანიშნავენ EHS თანამშრომლებს. მინიმალური მოთხოვა იწერება კონტრაქტორების მიერ სპეციალისტების აყვანა, რომელთა მოვალეობა იქნება ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის შესაბამისი მოვალეობების განხორციელება.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემის ფარგლებში “აჭარისწყალი ჯორჯია” ასევე დანიშნავს EHS მენეჯერსა და ორ ოფიცერს, როლებიც იქნებიან “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების განყოფილების მუდმივი თანამშრომლები. საჭიროების შემთხვევაში, “აჭარისწყალი ჯორჯია” ასევე აიყვანს დამხმარე ქვე-კონტრაქტორებს.

3.3 წყლის რესურსების და წყლის ხარისხის მართვის გეგმა

წყლის რესურსების და ხარისხის მართვის გეგმა შემუშავდება მშენებლობის ფაზაზე და მოიცავს ექსპლუატაციის ფაზას და წყლის რესურსებზე ზემოქმედების მონიტორინგს. მშენებლობის ფაზისთვის მონიტორინგის მოთხოვნები მოიცავენ დროებითი კოფერდამით, ნატანის კონტროლით, ჩამდინარე წყლების ჩაშვებით, დროებითი დამბებით გამოწვეულ შემცირებულ ხარჯის და მიწისქვეშა წყლებზე ნებისმიერი სხვა სახის ზემოქმედების მონიტორინგს.

ოპერირების ფაზისთვის წყლის მონიტორინგი მოცემულის გზშ-ს პარაგრაფში 9.6.3.

3.4 საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და მათზე რეაგირების გეგმა (EPRP)

3.4.1 შესავალი

მოცემული პარაგრაფი განიხილავს EPRP-ის შეთავაზებულ სტრუქტურას, რომელსაც კონტრაქტორები უნდა მიეცენ გეგმის შემუშავების დროს. გეგმა გათვალისწინებული იქნება მშენებლობის ფაზისთვის, ხოლო შემდეგ განიცდის გარკვეულ ცვლილებებს და გახდება ყველა სქემის საექსპლუატაციო ფაზისთვის განკუთვნილი გეგმა. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პარაგრაფში არ განიხილება საბოლოო EPRP, არამედ წარმოადგენს გეგმის ჩარჩოს და საფუძველს.

EPRP-ის გარდა, უსაფრთხოების მართვა იქნება ექსპლუატაციის და ტექნიკური მომსახურების გეგმის (O&M) შემადგენელი კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს საინჟინრო მექანიზმს და შესაბამისად აქ არ არის განხილული. O&M გეგმას შეიმუშავებს O&M კონტრაქტორი შესაბამისი მოთხოვნების და პრაქტიკის შესაბამისად. საერთაშორისო ჰიდროლოგიური ენერგეტიკის ასოციაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, O&M გეგმა მოიცავს დამბის უსაფრთხო მართვის გეგმას და ძირითად პრინციპებს, რაც გულისხმობს დამბების და სხვა ინფრასტრუქტურის მახლობლად მომუშავე პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე შესაძლო ზემოქმედების რისკების თავიდან აცილებას. O&M გეგმის ფარგლებში მოხდება მონიტორინგის მოთხოვნების მასშტაბების, სიხშირის და ხასიათის და ასევე საჭირო მოწყობილობების ტიპების განსაზღვრა. მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ნებისმიერი პოტენციური რისკი იქნება დეტალური კვლევის ობიექტი და სადაც საჭიროა, მოხდება მისი გამოსწორება რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი რისკების წარმოქმნა მომავალში. გეგმის ფარგლებში განხილული იქნება მისი შესრულებისთვის საჭირო კვალიფიკაციის დონე. გეგმის განსახორციელებლად “აჭარისწყალი ჯორჯია” დაიქირავებს შესაბამის პერსონალს.

ამ პარაგრაფის დანარჩენ ნაწილში განხილულია კონტრაქტორის მიერ მშენებლობის ფაზისთვის შესამუშავებელი EPRP. EPRP-ის ფარგლებში კონტრაქტორი ასევე შეიმუშავებს საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კამპანიას, რომელიც მიმართული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე ცნობიერების ამაღლებისკენ და მოსახლეობის რისკების და მიღებული ღონისძიებების შესახებ შეტყობინებისკენ.

3.4.2 ამოცანა

შესაბამისი EPRP ვრცელდება როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების ფაზაზე. EPRP წარმოადგენს თითოეული სქემის გარე და შიდა უბედური შემთხვევებისადმი მზადყოფნის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

მშენებლობის ფაზაზე EPRP-ის შემუშავებაზე პასუხისმგებელია კონტრაქტორი. გეგმის შემუშავების პროცესში საჭირო იქნება შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

1. სამივე სქემისთვის HAZOP ანალიზის შესრულება როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების ფაზებზე. HAZOP-ის დასრულება უნდა მოხდეს სემინარის ან რიგი სემინარების სახით და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების წილს (მაგალითად, “აჭარისწყალი ჯორჯია”, კონტრაქტორები, ადგილობრივი თემები [განსაკუთრებით დამბის ქვედა დინებაში], სოფლების თავებს, მუნიციპალიტეტების და ადგილობრივი სამაშველო სამსახურების წარმომადგენლებს);
2. რისკების დონეების დოკუმენტირება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. ყოველ შემარბილებელ ღონისძიებას უნდა გააჩნდეს მის გატარებაზე პასუხისმგებელი პირი და ასევე შესრულების ვადა;
3. პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის გაფრთხილება მნიშვნელოვანი საფრთხეების შესახებ და მათი ცნობიერების ამაღლება;
4. EPRP-ის მომზადება (სტრუქტურა იხ. ქვემოთ);

5. EPRP-ის შეჯამება და გამჟღავნება სათანადო წესით.

3.4.3 ძირითადი საფრთხეები

პროექტის ძირითადი საფრთხეები, რომლებიც წარმოადგენენ პოტენციური საგანგებო სიტუაციების პოტენციურ რისკს, ჩამოთვლილია ქვემოთ. მათი გათვალისწინება მოხდება EPRP-ის ჩამოყალიბების პროცესში:

- მეწყერი და ზვავი;
- მიწისძვრა;
- კოფერდამის ჩამოშლა;
- საგზაო შემთხვევები;
- მშენებლობის დროს გვირაბების დატბორვა;
- მუშაობა ჩაკეტილ სივრცეში;
- წყალმოვარდნა და ზემოქმედება დიდ სტრუქტურებზე (განსაკუთრებით წყალდიდობის პერიოდის წყლის დონეზე მაღალ სტრუქტურებზე);
- სალექარის გარეცხვა ოპერირების ფაზაზე და ქვედა დინების/ხარჯის გატარების მკვეთრი მომატება;
- ელექტროენერგიის გათიშვა/მოკლე ჩართვა;
- ასაფეთქებელი მასალის დასაწყობება, დამუშავება და გამოყენება;
- საწვავის და ქიმიკატების შენახვა, დამუშავება და გამოყენება;
- ხანძრსაშიშროება;
- ამინდი და კლიმატური მოვლენები;
- უბნების უსაფრთხოება;
- ტერორიზმი ან სამოქალაქო არეულობა.

3.4.4 EPRP-ის სტრუქტურა

სამივე სქემის მშენებლობის და ოპერირებისთვის გათვალისწინებული იქნება ერთიანი EPRP. მან უნდა მოიცვას დეტალური პოლიტიკა, გეგმები და პროცედურები თითოეული საფრთხისთვის, რომელიც შესაძლოა დაემუქროს პროექტს. EPRP-ის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- EPRP-ის შესავალი;
- საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა;
- საფრთხეების და ქმედუნარიანობის (HAZOP) კვლევა და რისკების აღრიცხვა;
- EPRP-ის აუდიტის და შეფასების პროცედურა;
- საგანგებო სიტუაციების დროს პასუხისმგებელი პირები და კომუნიკაცია;
- საგანგებო სამსახურების საკონტაქტო მონაცემები;
- ინციდენტების ლოკალიზაცია და კონტროლი;
- გადაუდებელი წყალმომარაგება;
- გადაუდებელი ენერგომომარაგება;

- საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა, ევაკუაცია;
- საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა, პერსონალის ტრეინინგი;
- საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა, დაგეგმილი სწავლება;
- საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა, დაგეგმილი ევაკუაცია;
- ტერორიზმის საფრთხეზე რეაგირება;
- სამოქალაქო არეულობაზე რეაგირება;
- რეაგირება მიწისძვრაზე;
- რეაგირება მეწყერზე და ზვავზე;
- რეაგირება ხანძარზე;
- რეაგირება რთულ კლიმატურ პირობებზე;
- რეაგირება სხვა სიტუაციებზე (საჭიროებისამებრ);
- აღდგენითი, გაწმენდის და რემედიაციის ღონისძიებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტრუქტურა წარმოადგენს ერთგვარ მაკეტს და შესაძლო გახდება მისი მოდიფიკაცია ან გარკვეული პუნქტების დამატება/ამოღება.

EPRP-ის სწავლება უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ. კონტრაქტორი ვალდებულია წინასწარ აცნობოს მოსახლეობას დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

3.5 ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა

3.5.1 შესავალი

3.5.1.1 რა არის ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა?

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (ბსგ) არის გეგმა, რომელიც შეიცავს იმ ქმედებების ნაკრებს, რომლებიც მიმართულია სპეციფიკური უბნის ან პროექტის ბიომრავალფეროვნების დაცვის ან გაფართოვებისაკენ. ბსგ საჭიროა იქ, სადაც პროექტის განხორციელებით ბიომრავალფეროვნებას შესაძლოა მიაღდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება.

აჭარის ბსგ უნდა შემუშავდეს როგორც გზშ-ს ფარგლებში განსაზღვრული შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებების განხორციელების დამხმარე დოკუმენტი.

ზემოქმედებებზე პროექტის ადრეულ ეტაპზე რეაგირებისთვის გზშ-მ შეიმუშავა შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია. შერბილების იერარქიის თანახმად თავიდან უნდა მოხდეს ზემოქმედების პრევენცია ან თავიდან აცილება (მაგალითად საპროექტო ალტერნატივების საშუალებით), შემდეგ მინიმიზაცია ან შემცირება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარების გზით და ბოლოს, დამდგარი ზემოქმედების შესარბილებლად გათვალისწინებულია აღდგენითი სამუშაოები. ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც გატარებული შემარბილებელი ღონისძიებების მიუხედავად ზემოქმედება მაინც მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულია საკომპენსაციო (ოფსეტური) საქმიანობა.

ოფსეტები განიმარტება როგორც „კონსერვაციის გეგმაზომიერი შედეგები, რომლებიც გამომდინარეობენ პროექტის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების კომპენსაციისთვის მიღებული ღონისძიებებიდან“ (საქმიანობის და ბიომრავალფეროვნების ოფსეტური პროგრამა (BBOP), <http://bbop.forest-trends.org/index.php>. განხილულია 2012 წლის 19 მარტს).

შერბილების იერარქიის მიყოლების შემდეგ გარკვეული ნარჩენი ზემოქმედებები არის მოსალოდნელი. ბსგ მიმართულია მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედებისკენ და გულისხმობს ბიომრავალფეროვნების ოფსეტური შემარბილებელი ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც თავიდან აცილებული იქნება ბიომრავალფეროვნების 'სუფთა დანაკარგი'.

3.5.1.2 ბსგ-ს შემუშავების პროცესი

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ბსგ არ არის ცალკე მდგომი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ჩასატარებელ ღონისძიებებს. ბსგ არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება ბსგ დოკუმენტაციის ჩამოყალიბება კვლევების და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით. გზშ წარმოადგენს ამ პროცესის ნაწილს. ბსგ-ს ამოცანების შემუშავება ხდება გზშ-ში განხილულ ფონურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. არსებობს ბსგ-ს ფორმულირების და განხორციელების რამდენიმე საერთაშორისო სახელმძღვანელო.

ბსგ უნდა მოიცავდეს რვა ძირითად დავალებას (მიღებულია IPIECA-ს სახელმძღვანელოდან ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შესახებ):

- დავალება 1: საკანონმდებლო, მარეგულირებელი, გეგმარებითი, სანებართვო და მესამე მხარის მოთხოვნები;
- დავალება 2: პროექტის სამაგიდე შეფასება;
- დავალება 3: ბიომრავალფეროვნების ფონური მდგომარეობის შესწავლა;
- დავალება 4: ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება;
- დავალება 5: ბსგ-ს მომზადება;
- დავალება 5.1: საკონსერვაციო პრიორიტეტების დანერგვა;
- დავალება 5.2: საკონსერვაციო ზომების განსაზღვრა;
- დავალება 6: ბსგ-ს განხორციელება;
- დავალება 7: მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება;
- დავალება 8: ანგარიშგება, კომუნიკაცია და ბსგ-ს შესრულების დამოწმება.

აჭარის პროექტთან მიმართებაში დავალებები 1-დან 4-მდე შესრულდა გზშ-ს ფარგლებში. დავალებები 5-8 საჭიროებს განხორციელებას.

3.5.1.3 ჩარჩოს სკოპინგი

მოცემული დოკუმენტის მიზანია იმ ელემენტების გამოკვეთა, რაც საჭიროა 5-8 დავალებების შესასრულებლად ბსგ-ს მომზადების, ფორმულირების და განხორციელების თვალსაზრისით. კერძოდ, დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- მარეგულირებელი მოთხოვნების განსაზღვრა (დავალება 1);
- ეკოლოგიური ფონური მდგომარეობის შეჯამება (დავალება 2 და 3);
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ძირითადი ზემოქმედებების და მათი შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებების შეჯამება (დავალება 4);
- ბსგ-ს მთავარი მიზნის განსაზღვრა (დავალება 5.1);
- საკონსერვაციო პრიორიტეტების დადგენის პროცესი და ბსგ ქმედებების იდენტიფიკაცია (დავალებები 5.1 და 5.2);

- ბსგ-ს განხორციელებაში ჩასართავი ქმედებები (დავალეზა 6);
- საპროექტო საქმიანობის გზშ-ს მოთხოვნებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად ბსგ-თვის საჭირო მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესებების პროცედურები (დავალეზები 7 და 8).

აჭარის ბსგ-ს ჩარჩოს მთავარი ფუნქცია არის სრული შესაბამისობა გზშ-თან, ESMP-თან და საბოლოო ბსგ-თან. მნიშვნელოვანია, რომ საბოლოო ბსგ-ს ჩამოყალიბება მოხდეს დაინტერესებული მხარეების კონსულტაციების შედეგებზე დაყრდნობით და განხორციელდეს საზოგადოებრივი განვითარების გეგმის პარალელურად.

3.5.1.4 დავალეზა 1: ბსგ-ს საკანონმდებლო, მარეგულირებელი, გეგმარებითი, სანებართვო და მესამე მხარის მოთხოვნები

აჭარის პროექტისთვის ბსგ-ს საჭიროებისთვის არსებობს სამი მიზეზი:

- აჭარის პროექტის ეროვნულ კანონმდებლობასა და ბიომრავალფეროვნების შესახებ პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- აჭარის პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის გზშ-ს მიხედვით განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- IFC-ის შესრულების მე-6 ბიომრავალფეროვნების შესახებ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების მოთხოვნა

აჭარის პროექტისთვის განხორციელდა დეტალური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კვლევა. გზშ ანგარიშმა მოიცვა არაერთი შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება შესაძლო ზემოქმედებების შესამცირებლად და ზოგადად, ბიომრავალფეროვნების სრული დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.

პოლიტიკის მოთხოვნა

საქართველოზ ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (NBSAP, 2005 წ.) განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვის და კონსერვაციის მთავარ მიზნებს, ამოცანებს და პოლიტიკას. NBSAP-ის ფარგლებში შემუშავებულია 9 სტრატეგიული მიზანი იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო „იქნება ქვეყანა, სადაც ბიომრავალფეროვნება იქნება მდგრადი და რეაბილიტირებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტით, რომელიც ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების გონიერ გამოყენებაზე და მოგების გადანაწილების ადეკვატურობაზე“.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა დაფუძნებულია საერთაშორისოდ არსებულ კონცეფციებსა და კრიტერიუმებზე. ძირითადი კანონებია:

- კანონი გარემოს დაცვის შესახებ;
- კანონი ველური მცენარეების და ცხოველების დაცვის ზოგადი წესების შესახებ;

- კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ;
- კანონი ველური ბუნების შესახებ;
- კანონი წითელი წიგნის და წითელი ნუსხის შესახებ;
- საქართველოს სატყეო კოდექსი.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებს და ფიზიკურ-იურიდიულ პირებს შორის გარემოსდაცვით და ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის წყლით, საჰაერო სივრცით, კონტინენტური შელფით და სპეციალური ეკონომიკური ზონებით სარგებლობის თვალსაზრისით.

კანონი მოიცავს გარემოსდაცვითი განათლებას, ეკოლოგიურ მენეჯმენტს, ლიცენზირებას, სტანდარტებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და სხვა საკითხებს. კანონში განხილულია ეკოსისტემის დაცვის, დაცული ტერიტორიების, გლობალური და რეგიონალური ეკოლოგიური მენეჯმენტის, ოზონის ფენის დაცვის, ბიომრავალფეროვნების და შავი ზღვის სხვადასხვა ასპექტი.

კანონის მთავარი მიზანია ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა, ქვეყნისთვის დამახასიათებელი, იშვიათი, ენდემური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ფლორასა და ფაუნის სახეობების კონსერვაცია, საზღვაო გარემოს დაცვა და ეკოლოგიური ბალანსის უზრუნველყოფა. კანონი განსაზღვრავს „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპს“, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ამა თუ იმ საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ბიომრავალფეროვნების გაუარესება.

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ განსაზღვრავს დაცული ტერიტორიის (მათ შორის ეროვნული პარკების, აღკვეთილების, სახელმწიფო ნაკრძალების და მრავალჯერადი სარგებლობის ტერიტორიების) ცნებას და ამ ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობების ჩარჩოებს. საქმიანობის სახეობები განისაზღვრება ტერიტორიის მნიშვნელობის, კანონმდებლობის, სპეციფიური ნორმების და დაცული ტერიტორიების მართვის გეგმის მიხედვით, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებების და კონვენციების მოთხოვნების მიხედვით. კანონის ფარგლებში განსაზღვრულია ასევე მოცემულ ტერიტორიებზე არსებული რესურსებით სარგებლობის ზღვარი. ზოგადად, ტერიტორიებზე იკრძალება შემდეგი საქმიანობა:

- ბუნებრივი ეკოსისტემის დაზიანება და მოდიფიკაცია;
- ბუნებრივი რესურსების განადგურება მათი გამოყენების ან სხვა მიზნებისთვის;
- ეკოსისტემების და სახეობების გამოყენება, დაზიანება ან შეწუხება;
- გარემოს დაბინძურება;
- ინვაზიური და ეგზოტიკური სახეობების შემოტანა და გამრავლება;
- ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ან მომწამვლელი მასალების შემოტანა.

საქართველოს კანონი ველური ბუნების დაცვის შესახებ მოიცავს ველური ბუნების და ჰაბიტატების დაცვის და აღდგენის, ასევე სახეობების მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების კონსერვაციის, მდგრადი განვითარების საკითხებს მომავალი თაობების ინტერესები გათვალისწინებით.

საქართველოს კანონი წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ (2003) არეგულირებს კანონმდებლობას საქართველოს წითელ ნუსხაში და წითელ წიგნში შესული სახეობების მიმართებაში, ასევე იცავს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებს. გამონაკლისს წარმოადგენს ის საკითხები, რომლების რეგულირდება გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობის საერთაშორისო ვაჭრობის საკანონმდებლო ასპექტებით, რომლებიც საქართველო საკანონმდებლო ჩარჩოში რეგულირდება კონვენციით „გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ფლორასა და ფაუნის სახეობებით ვაჭრობის“ შესახებ (ვაშინგტონი). კანონის მთავარი მიზნებია: საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობების და გენეტიკური რესურსების კონსერვაცია, მდგრადობა, მათი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონით დაცულია 137 სახეობა. საერთაშორისოდ დაცული სახეობების ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაზე დაცვას ექვემდებარება 200 სახეობა. აღნიშნული სახეობების უმეტესობა ჩამოთვლილია საერთაშორისო წითელ ნუსხაში (IUCN-ის წითელი ნუსხა), საქართველოს წითელ ნუსხასა და კონვენციების დანართებში.

საქართველოს სატყეო კოდექსი არეგულირებს ტყით სარგებლობის საკითხებს, მათ შორის დაცვას, წყალშემკრები აუზის მართვას, მცენარეების დაცვას და ა.შ. კანონის თანახმად დაშვებულია ტყის მფლობელობა და კომერციული ხეების ჭრა. კანონის თანახმად, საქართველოს სატყეო დეპარტამენტი უზრუნველყოფს ხეების ჭრის მონიტორინგს და მართვას. აქვე, დეპარტამენტი პასუხისმგებელია ტყის სანიტარულ ჭრასა და მენეჯმენტზე. კოდექსის მიხედვით საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მიანიჭა დეპარტამენტს ხეების ჭრაზე ლიცენზიების გაცემის უფლებამოსილება. კოდექსი ასევე ადგენს დაცული ტყეების კატეგორიას, მათ შორის წყალშემკრები აუზები, სანაპირო და სუბ-ალპური ზონები, წითელი ნუსხის ფლორის სახეობები და ა.შ. სატყეო კოდექსი წარმოადგენს ჩარჩო კანონს და საჭიროებს დეტალური პროცედურების შესრულებას.

ეროვნული კანონმდებლობის და CBD პოლიტიკის მოთხოვნების პარალელურად საქართველომ თავზე აიღო 2020 წლისთვის Aitchi მიზნების მიღწევა, რაც გულისხმობს 5 სტრატეგიული მიზნის მიღწევას:

- სტრატეგიული მიზანი A: ბიომრავალფეროვნების დაკარგვის მიზნების აღმოფხვრა ბიომრავალფეროვნების საკითხების სახელწიფო და საზოგადოებრივ დონეზე ჩართვით;
- სტრატეგიული მიზანი B: ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზემოქმედების შემცირება და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა;
- სტრატეგიული მიზანი C: ბიომრავალფეროვნების სტატუსის გაუმჯობესება ეკოსისტემის, სახეობების და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვის გზით;
- სტრატეგიული მიზანი D: ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის მომსახურების სარგებელის მოცულობის გაზრდა;
- სტრატეგიული მიზანი E: საქმიანობის ეფექტურობის მომატება დაგეგმარებაში, ცოდნის მართვაში და პოტენციალის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღების გზით.

აჭარის ბსგ უზრუნველყოფს ყველა ამ მიზნის შესრულებას.

3.5.1.5 დავალება 2 და 3: ეკოლოგიური ფონური მდგომარეობის რეზიუმე

აჭარის გარემოს ფონური მდგომარეობა დეტალურად იქნა შესწავლილი გზშ-ს მომზადების ფაზაზე. საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელოების მიხედვით გზშ-ს ფარგლებში პირველადი მონაცემები შეგროვდა სავსე კვლევების დროს, ხოლო შემდეგი ეტაპი მოიცავდა წინამორბედი კვლევების შესწავლას.

გზშ-ში გამოვლენილია ტერიტორიის ძირითადი ეკოლოგიური თავისებურებები, მათ შორის:

- მდ. აჭარისწყლის სამხრეთით მდებარეობს მაჭახელას ეროვნული პარკი. მდ. მაჭახელასწყალი (რომელიც ამჟამად ეროვნული პარკის ფარგლებს გარეთ არის) კვებავენ მდ. ჭოროხს და მდ. აჭარისწყლის შესართავის ზედა დინებაშია განლაგებული. ხერთვისის სქემის მდინარის ჩამონადენზე მომუშავე კაშხალი და სალექარი განლაგებულია მდ. მაჭახელასწყალზე;
- საპროექტო ტერიტორიის ზემოქმედების ზონაში განლაგებული ჰაბიტატი ძირითადად წარმოადგენს მდინარისპირა მდელოებს და ტყეს, რომელთა უმეტესობა არის მოდიფიცირებული და წარმოადგენს დაბალი/საშუალო საკონსერვაციო ღირებულებას;
- პროექტის ზემოქმედების ფარგლებში ხდება ოთხი მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ჰაბიტატი, სადაც დომინირებს რცხილის, მუხას და წიფელის ტყეები და წარმოადგენს IUCN და საქართველოს წითელი წიგნის სახეობების ჰაბიტატს;
- რეგიონი, მათ შორის აჭარის ხეობა და პროექტის ფარგლებში მოქცეული ტერიტორიები, წარმოადგენს მნიშვნელოვანი ბოტანიკური მრავალფეროვნების ჰაბიტატს. პროექტის ზემოქმედების ზონაში აღმოჩენილია საქართველოს წითელი წიგნის და აჭარის წითელი ნუსხის 6 სახეობა: *Castanea sativa*, *Juglans regia*, *Ostrya carpinifolia*, *Quercus hartwissiana*, *Staphylea colchica* და *Ulmus glabra*;
- მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ზემოქმედების ზონაში მოექცევა ცხოველების დაცული და გადაშენების საფრთხის ქვეს მყოფი სახეობები, მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. კერძოდ საუბარია 17 სახეობაზე (აქედან 10 ხელფრთიანთა სახეობა), მათ შორის ფრინველის 3 სახეობა, ამფიბიების 2 სახეობა და ქვეწარმავლების 2 სახეობა. ჩამოთვლილიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კავკასიური გომბეშო, კლარკის ხვლიკი, კავკასიური გველგესლა და კავკასიური სალამანდრა;
- პროექტის ზემოქმედების ზონაში მოყოლილი მტკნარი წყლის დაცული სახეობები მოიცავენ შავი ზღვის ორაგულს (*Salmo labrax*), ზღვის კალმახს/ყავისფერ კამახს (*Salmo trutta*), კოლხურ ხრამულას (*Capoeta sieboldii*) და ევროპულ გველთევზას (*Anguilla anguilla*).

გარდა ამისა, პროექტის ზემოქმედების არეალში აღმოჩენილია კრიტიკული ეკოსისტემა, რომელსაც პროექტით მიაღებია ნეგატიური ზემოქმედება. ზემოქმედებიდან აღსანიშნავია პროექტთან დაკავშირებული ჰიდროლოგიური ცვლილებები.

დეტალები იხ. გზშ-ს ანგარიშში.

3.5.1.6 დავალება 4: ძირითადი ზემოქმედებების, შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებების შეჯამება

აჭარის პროექტით მოსალოდნელი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე განხილულია გზშ-ს ფარგლებში. გზშ-ში ასევე ჩამოთვლილია ყველა საჭირო შემარბილებელი ღონისძიება, რომელთა განხორციელება მოხდება EMSP-ის საშუალებით. შემარბილებელი ღონისძიებები შეამცირებენ პროექტით მიყენებულ ზემოქმედებას და ასევე ნარჩენ ზემოქმედებას.

მდ. აჭარისწყლის სისტემა გამოირჩევა ბიომრავალფეროვნების მაღალი ინტერესით წარმოადგენს რა რეგიონისთვის დამახასიათებელი სახეობების ჰაბიტატს. ზემოქმედების გარეშე მდინარის ბიომრავალფეროვნებას და ეკოსისტემას მიადგებოდა მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება. თუმცა, ამ ზემოქმედებების შემცირება მოხდება აღნიშნული ღონისძიებების გატარების საშუალებით.

ძირითადი შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებები შემდეგია:

- მეორე ფაზის ეკოლოგიური ხარჯის მოთხოვნების შეფასება, რომელიც მოიცავს ეკოლოგიურ მოთხოვნებს მდინარის სისტემის კონკრეტული მონაკვეთებისთვის წელიწადს კონკრეტული პერიოდებისთვის და ჰაბიტატის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება, რომელთა საშუალებით მოხდება ხარჯის დაკლებით გამოწვეული დაკარგული ჰაბიტატების კომპენსირება;
- დამბიდან წყლის და ნატანის დროული გაშვება, რომელიც იქნება მიახლოებული ბუნებრივ მოვლენებთან;
- ჭირუხისწყალის, ჭვანისწყალის, ხვიჩაურის და კერთვისის დამბებზე თევზსავალის მოწყობა ყველა ზომის თევზის ეფექტური გატარებისთვის. თავსსავალი უზრუნველყოფს თევზების არამარტო ზედა, არამედ ქვედა დინებაში თავისუფალ მოძრაობას;
- მშენებლობის დროს ნატანის კონტროლის პროცედურების, მათ შორის სალექარის, გატარება რაც ხელს შეუწყობს ქვედა დინებაში ნატანის მობილიზაციის მინიმიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვირითობის პერიოდში, აპრილი-აგვისტოს თვეებში;
- მდ. მაჭახელისწყალზე ინფრასტრუქტურის მშენებლობის შეჩერება შავი ზღვის ორაგულის მიგრაციის პერიოდში (აპრილის დასაწყისიდან სექტემბრის დასაწყისამდე). მიგრაციაზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად საკითხი უნდა მიმოიხილოს მშენებლობის დაწყებამდე (დაგეგმილია 2017 წელზე);
- ყველა სამშენებლო თუ საექსპლუატაციო ტერიტორიების მინიმუმამდე შემცირება ჰაბიტატის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად;
- მისასვლელი მარშრუტების შემცირება ჰაბიტატის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით. დანიშნული მარშრუტიდან გადახვევა იკრძალება. სამშენებლო საგზაო საქმიანობის მინიმიზაციისთვის შემუშავდება სპეციალური გეგმა. ეს გეგმა მნიშვნელოვნად შეამცირებს ჰაბიტატზე და სახეობებზე ზემოქმედებას;
- ბუნებრივი ტყის ჰაბიტატის გაწმენდამდე ტერიტორია უნდა შემოწმდეს იქ არსებული დაცული სახეობების აღმოჩენის მიზნით. აღმოჩენილი სახეობები ექვემდებარება

ინვენტარიზაციას და უნდა წარედგინოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს სატყეო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

- აღირიცხოს ყველა მოჭრილი ხე და ყოველ მოჭრილ ხეზე დაითესოს იგივე სახეობის ორი ხე (ჰაბიტატის შექმნის სქემა);
- სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ტყის გაწმენდის პროცედურის ჩატარებამდე უნდა მოხდეს საშუალო და მარალი ხარისხის ხეების გადანერგვა;
- თესლები ან ცოცხალი მცენარეები (თუ ეს შესაძლებელია) გადატანილ უნდა იქნას საკონსერვაციო ცენტრში. იქიდან გამომდინარე, რომ მცენარეების გადანერგვა ყოველთვის მაღალ რისკთან არის დაკავშირებული, თესლების გავრცელება ხელს შეუწყობს აღდგენითი სამუშაოების ეფექტურობას.

გაუმჯობესების და ოფსეტური ღონისძიებები გულისხმობენ შემდეგს:

- CEMP-ის შემუშავებას და განხორციელებას. ამ გეგმაში ასახული იქნება თუ რომელი შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიება უნდა ჩატარდეს და როდის;
- პროექტისთვის ბსგ ანგარიშის შემუშავება, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ის კონკრეტული ღონისძიებები რომელთა გატარება უნდა მოხდეს პროექტის მიმდინარეობის მთელი ციკლის მანძილზე და რაც მიმართული იქნება აჭარის ბიომრავალფეროვნების დაცვის და გაუმჯობესებისკენ;
- ჰაბიტატის შექმნის სქემის ამუშავება, რომელიც გამორიცხავს ტყის ჰაბიტატის მთლიან დაკარგვას;
- ველური ბუნების ოფიცრის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და ბსგ-ს ეკოლოგიური ასპექტების, შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებასა და ადგილობრივ მოსახლეობაში და პროექტზე დასაქმებულ პერსონალში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე.

რაც შეეხება ნარჩენ ზემოქმედებას, მოსალოდნელია შემდეგი რისკები:

- მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ტყის ბუნებრივ ჰაბიტატზე მცირე ნეგატიური ზემოქმედება;
- მდინარის/წყლის ჰაბიტატზე საშუალო ნეგატიური ზემოქმედება ჰიდროლოგიური რეჟიმის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში;
- რელიქტური მცენარეების სახეობებზე მცირე ნეგატიური ზემოქმედება, განსაკუთრებით ევროპულ რცხილაზე;
- მდ. მაჭახელასწყალსა და ჭოროხში შავი ზღვის ორაგულზე და ევროპულ გველთევზაზე მცირე ნეგატიური ზემოქმედება;
- მცირედან საშუალომდე ნეგატიური ზემოქმედება წავზე.

თუმცა, მაშ შემდეგ რაც ბიომრავალფეროვნება გაივლის ადაპტაციას ჰიდროლოგიურ პირობებში ცვლილებასთან და ასევე გატარებულ ოფსეტურ და გასაუმჯობესებელ ღონისძიებებთან, ზოგადი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე იქნება ნეიტრალური და მომგებიანი.

ცხრილი 3.2. სახმელეთო ეკოლოგიური შემარბილებელი, ოფსეტური და სხვა საკონსერვაციო ღონისძიებების შეჯამება

შერბილების ტიპი	ეკოლოგიური ზემოქმედებისკენ მიმართული საკმეიანობა
ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებები	- საპროექტო ტერიტორიის შემცირება კაშხლების და ინფრასტრუქტურის გადატანით მგრძნობიარე და მაღალი საკონსერვაციო ღირებულების შენაკადებიდან; - ინფრასტრუქტურის მოწყობა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ზემოქმედება ეკოლოგიაზე ნაკლებ სავარაუდოა.
უმნიშვნელო ზემოქმედების შერბილება	- ინვაზიური სახეობების გავრცელების პოტენციალის მაკონტროლებელი ღონისძიება; - ჰაბიტატის გაწმენდა და სამშენებლო უბნების მინიმიზაცია; - ხმაურის და ვიბრაციის დონეების ეროვნულ ნორმებთან შესაბამისობა; - პროექტზე დასაქმებული პერსონალი უნდა აცნობიერებდეს ეკოლოგიურ მგრძნობელობას და იშვიათი ან დაცული სახეობის (განსაკუთრებით ბუძუმწოვრების, ფრინველების, ღამურების, ქვეწარმავლების და ამფიბიების) აღმოჩენის შემთხვევაში აჩერებდეს სამუშაოს. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება და ეკოლოგიური კონსულტაციები.
მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილება	- მაღალი ღირებულების ტყის გაწმენდამდე ხეების და იშვიათი სახეობების მცენარეების ინვენტარიზაცია. სადაც შესაძლებელია, სახეობების გადარგვა. თითო დაკარგულ ხეზე ორი იგივე სახეობის ხის დარგვა; - ჰაბიტატის გადატანის და აღდგენის გეგმის შემუშავება და გატარება; - ჰაბიტატის გაწმენდა ფრინველების ბუდეებისგან მოშორებით. ჰაბიტატის გაწმენდამდე მოზუდარი ფრინველების, ღამურების, წავის, ქვეწარმავლების და ამფიბიების აღრიცხვა და შემოწმება; - პერსონალისთვის ნადირობის და თევზაობის აკრძალვა; - ოთხ მთავარ დამბაზე თევზსავალის მოწყობა; - მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე ნატანის გატარების მინიმიზაცია, განსაკუთრებით ქვირითობის პერიოდში; - შავი ზღვის ორაგულის მიგრაციის პერიოდში მდ. მაჭახელაზე საკმეიანობის შეჩერება (აპრილი-სექტემბრის თვეები). მშენებლობის დაწყებამდე საკითხის შესწავლა. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება; - ეკოლოგიური ხარჯის მართვის პროგრამის შესამუშავებლად მეორე ფაზის შეფასების განხორციელება და ხანგრძლივი მონიტორინგის გატარება და დაინტერესებული მხარეების ჩართვა.
ოფსეტური და საკონსერვაციო ღონისძიებები	- ბსგ-ს შემუშავება და ამოქმედება. ფოკუსირება ძირითადი ჰაბიტატის და სახეობების კონსერვაციასა და მართვაზე; - ველური ბუნების ოფიცრის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბსგ-ს განხორციელებასა და შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებების გატარებაზე;

- სარეკრეაციო თევზჭერის ტერიტორიების შექმნა, წყალსაცავის შევსება თევზით;
- შავი ზღვის ორაგულის კონსერვაციის პროგრამის მხარდაჭერა;
- ფრინველებისა და დამურებისთვის ხელოვნური ბუდეების მოწყობა.

3.5.2 მიდგომები და ღონისძიებები

3.5.2.1 მიზნები, ამოცანები და საკონსერვაციო პრიორიტეტები

აჭარის ბსგ-ს ზოგადი მიზანი არის ბიომრავალფეროვნების და დამხმარე პროცედურების ეფექტურობის მიღწევა.

ამ მიზნის მისაღწევად, გზშ-ს ფარგლებში და საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით ყველა შესაძლო ზემოქმედებისთვის შემუშავდა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიება. ოფსეტური ღონისძიებები შეთავაზებულია იქ, სადაც სხვა შემარბილებელი ღონისძიებები არაეფექტურია და მოსალოდნელია ნარჩენი ზემოქმედება.

ბსგ-ს კონკრეტული ამოცანები და საკონსერვაციო ღირებულებები უნდა შემუშავდეს დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობით. ბსგ-ს მონახაზი წარმოდგენილია ქვემოთ, რაც შემუშავდა საერთაშორისო სახელმძღვანელოების შესაბამისობაში. თუმცა ბსგ-მ მთლიანად უნდა მოიცვას გზშ-ში და ESMP-სი გაწერილი ყველა შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიება, რომელთა მიზნები შემდეგია:

- ჰაბიტატის დაკარგვის და შეწუხების მინიმიზაცია;
- ძუძუმწოვრების და ფრინველების შეწუხების მინიმიზაცია;
- ინვაზიური მცენარეების და ცხოველების კონტროლი;
- ნადირობის და თევზაობის მინიმიზაცია;
- ბიომრავალფეროვნების და ჰაბიტატების გაუმჯობესება;
- პოტენციალის მომატება პერსონალის ტრეინინგის საშუალებით;
- ბსგ-ს გატარების ეფექტურობის მონიტორინგი და შეფასება.

ამ ჩარჩოს მიზანია იმ პროცესების ხაზგასმა, რომლებიც საჭიროა ბსგ-ს ფორმულირებისთვის და დეტალური ღონისძიებების შესამუშავებლად. დამატებითი მიზნების და კონკრეტული ღონისძიებების გამოვლენა შესაძლებელია კონსულტაციების შედეგად.

3.5.2.2 ბსგ-ს მომზადების შემდეგი საფეხურები

ბსგ-ს ჩამოსაყალიბებლად საჭირო იქნება რიგი საქმიანობის განხორციელება, კერძოდ:

- ბსგ-ს წინასწარი დოკუმენტაციის მომზადება ჩარჩო დოკუმენტზე და გზშ და ESMP დოკუმენტაციაზე დაყრდნობით;
- კონსულტაციების ჩატარება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან საკონსერვაციო ღირებულებების და შესაბამისი ღონისძიებების განსასაზღვრად;

- ბსგ-ს საბოლოო ანგარიშის, მათ შორის მონიტორინგის და შეფასების პროცედურების შესახებ ხელშეკრულებების გამოცემა;
- ბსგ-ს საბოლოო ვერსიის დაინტერესებული მხარეებისადმი წარდგება;
- ბსგ-ს განხორციელება, მათ შორის კონტრაქტორების მიერ შემუშავებული CEMP-ის ფარგლებში განსაზღვრული მოვალეობების შესრულება;
- ბსგ-ს მონიტორინგი და შეფასება, და შედეგების დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საერთაშორისო დონორ ორგანოებთან წარდგენა.

კონსულტაციები წარმოადგენენ ბსგ-ს ფორმულირების განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად კონსულტაციები ჩატარდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

3.5.2.3 მონიტორინგი და შეფასება

წარმატებული ბსგ-ს წინაპირობაა ბსგ საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი და ეფექტურობის შეფასება. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ შემოთავაზებული შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებები ემთხვევა ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირების მიზნებს.

მონიტორინგის განხორციელება საჭიროა მშენებლობის დროს და მშენებლობის შემდეგ ეტაპზე. მშენებლობის დროს მონიტორინგი გულისხმობს, თუმცა ამით შეზღუდული არ არის, შემდეგს:

- მშენებლობის მონიტორინგი და იმის უზრუნველყოფა, რომ ჰაბიტატის დაკარგვა მინიმუმირებულია;
- სამუშაოების მონიტორინგი და ინვაზიური სახეობების გავრცელების კონტროლი;
- სადაც საჭიროა, ტერიტორიის გაწმენდის ზედამხედველობა ფრინველების შეწუხების შესამცირებლად და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

რაც შეეხება მშენებლობის შემდგომ ფაზაზე განსახორციელებელ მონიტორინგს, ის მოიცავს შემდეგს:

- ჰაბიტატების და ბოტანიკური მრავალფეროვნების აღდგენის შეფასება და მცენარეული საფარის აღდგენის და გადარგვის შემდეგ 10 წლის განმავლობაში;
- ოფსეტური და გაუმჯობესების ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი ჰაბიტატის მდგომარეობის მონიტორინგი მშენებლობის დასრულებიდან 10 წლის განმავლობაში;
- თევზების პოპულაციის და წყლის ხარისხის ყოველწლიური მონიტორინგი მშენებლობის დროს და მისი დასრულების შემდეგ;
- ფლორისა და ფაუნის ინვაზიური სახეობების კონტროლი 10 წლის განმავლობაში, ორ წელიწადში ერთხელ.

ყოველწლიური ანგარიშები წარედგინება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სხვა ორგანოებს. ამ კვლევების მონაცემების მიმოხილვა ჩატარდება რეგულარულად. თუკი მონაცემები მიუთითებენ ეკოლოგიური პირობების გაუარესებაზე სჭირო გახდება ჩარევა და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება. ამ ღონისძიებების

შემუშავება მოხდება აჭარის ბსგ-ს მიმოხილვის, შესწორებების შეტანის, ხელახალი წარდგენის და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით.

3.5.3 შტატი და რესურსები

3.5.3.1 ბიომრავალფეროვნების შტატი

“აჭარისწყალი ჯორჯია” დანიშნავს ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ ველური ბუნების ოფიცერს (WO), რომლის ვალდებულება ბსგ-ს შესრულებასთან ერთად იქნება შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების გატარება. გარდა ამისა, კონტრაქტორებს ეყოლებათ საქმიანობის ეკოლოგიური კლერკი (ECW), რომელიც ითანამშრომლებს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს CWO-თან. “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს CWO-ს და კონტრაქტორის ECW-ს შესაძლოა დასჭირდეთ ტრენინგის ჩატარება მათი საქმიანობის სრულფასოვნების უზრუნველსაყოფად. CWO-ს მოეთხოვება CLO-თან აქტიური თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საკითხებზე.

3.5.3.2 ველური ბუნების ოფიცერი

WO-ს უპირველესი როლი არის ბსგ-ს, შემარბილებელი და გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, რის მიზანსაც წარმოადგენს ველური ბუნების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება საპროექტო ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს (თუმცა არ შემოიფარგლება) შემდეგს:

- ESMP-ში ხაზგასმული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება;
- ბსგ-ს განხორციელების ხელშეწყობა, “აჭარისწყალი ჯორჯია”-მ შეიძლება დანიშნოს ადგილობრივი კონსულტანტი ბსგ-ს შესამუშავებლად;
- აჭარის პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინფორმირება, ახსნა და სადაც საჭიროა გატარება;
- აჭარის ტყის ჰაბიტატის ხანგრძლივი მართვისთვის ჰაბიტატის აღდგენის გეგმის და ჰაბიტატის შექმნის სქემის ფორმულირების და განხორციელების ხელშეწყობა;
- საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება და კონტროლი და ასევე ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა;
- ეკოლოგიურად სენსიტიურ ტერიტორიებზე შესვლის ამკრძალავი ნიშნების მოწყობა;
- საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში სენსიტიური უბნების თაობაზე კონტრაქტორების ინფორმირებულობა, და საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორების ხელმძღვანელობა;
- ინვაზიური სახეობების პრევენციის და მართვის სახელმძღვანელოების იმპლემენტაციის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივ თემებთან, მიწით მოსარგებლებებთან, მიწის მმართველებთან და ბიზნესის სექტორთან ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- ველური ბუნების კონსერვაციის საკითხებზე “აჭარისწყალი ჯორჯია”-თვის და პროექტის პერსონალისთვის რჩევების მიცემა;

- ეკოლოგიური მონიტორინგის მოთხოვნების შემუშავება და განხორციელება გზშ-ს მიხედვით.

3.5.4 ბიუჯეტი და გრაფიკი

მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს მეორე ეტაპის ეკოლოგიური ხარჯის შეფასების საორიენტაციო ხარჯია 300,000 აშშ დოლარი.

აჭარის ბსგ-ს, შემარბილებელი და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების საერთო ხარჯი შეადგენს 2.3 მილიონ აშშ დოლარს.

ოპერირების ფაზაზე მონიტორინგის საორიენტაციო ხარჯი შეადგენს 1.5 მილიონ აშშ დოლარს.

ცხრილი 3.3. ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის შემარბილებელი ღონისძიებების რეზიუმე

ამოცანა	საქმიანობა	შერბილება/გაუმჯობესება	სტანდარტი	პასუხისმგებლობა	ვადა	მოსალოდნელი ხარჯი (აშშ დოლარი)
ადაპტური მართვის სისტემის შემუშავება ეკოლოგიური ხარჯისთვის	მეორე ფაზის შეფასება - განსაკუთრებული ზემოქმედების არეალის შესახებ ინფორმაციის მოძიება	შერბილება და გაუმჯობესება	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”	2012 წლის მაისიდან	300.000
შემარბილებელი და ოფსეტური ღონისძიებების განხორციელება	WO-ს დანიშვნა	-	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”	მშენებლობის დაწყებიდან პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე	ყოველწლიური ხელფასი: 13.000 ყოველწლიური სატრანსპორტო და საოფისე ხარჯები: 10.000
	ტერიტორიის მცენარეული საფარისგან გაწმენდამდე ფრინველების, ძუძუმწოვრების, ამფიბიების და ქვეწარმავლების შემოწმება	შერბილება	-	კონტრაქტორი	ტერიტორიის მომზადების დაწყებამდე და მომზადების პროცესში (მშენებლობა)	ადგილობრივი ეკოლოგის დანიშვნა მშენებლობის ფაზაზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარების მიზნით საიტის გაწმენდის ფაზისთვის მხოლოდ - 45.000 წელიწადში
	ნადირობის და თევზაობის აკრძალვა	შერბილება	-	კონტრაქტორი (მშენებლობის დროს), “აჭარისწყალი ჯორჯია” (ოპერირების დროს)	მშენებლობის დაწყებიდან პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე	WO-ს პასუხისმგებლობის ნაწილი
	ფრინველების და ღამურების ბუდეების მოწყობა	შერბილება	-	კონტრაქტორი	საიტის გაწმენდამდე	10.000
ჰაბიტატის	ტყის ჰაბიტატის	შერბილება	საქართველოს სატყეო	კონტრაქტორი	საიტის	90.000

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ



კონსერვაცია და მართვა	გაწმენდამდე ხეების ინვენტარიზაცია	კოდექსი	გაწმენდამდე
მცენარეების გენეტიკური მრავალფეროვნების კონსერვაცია	თესლების და შერბილება გენეტიკური მასალის მოგროვება და გადატანა	-	კონტრაქტორი
	მცენარეების სახეობების მოგროვება და გადატანა	-	კონტრაქტორი
თევზების კონსერვაცია და ეკოსისტემის მომსახურების უზრუნველყოფა	წყალსაცავის და ოფსეტი მდინარეების მომარაგება თევზით	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”
ჰაბიტატის კონსერვაცია	ჰაბიტატის წარმოქმნის და აღდგენის გეგმის შემუშავება	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”
	ჰაბიტატის აღდგენა	-	კონტრაქტორი
	მიწის შეძენა ან შეთანხმება ჰაბიტატის შექმნა	-	კონტრაქტორი
ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის	აჭარის მსგ-ს გაუმჯობესება შემუშავება, მათ შორის	IFC ბიომრავალფეროვნების	“აჭარისწყალი ჯორჯია”

გრძელვადიანი კონსერვაცია	კონსულტაციები	სახელმძღვანელო; ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განვითარების IPIECA სახელმძღვანელო	თვის განმავლობაში			
	ბსგ-ს ღონისძიებების განხორციელება	გაუმჯობესება	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”	მშენებლობის დასრულებისთანავე	წელიწადში 10.000
წყლის რესურსების მართვა	ადაპტური მართვის გეგმის შემუშავება	გაუმჯობესება	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”	მშენებლობის დასრულებისთანავე	7.500
ეკოლოგიური პირობების მონიტორინგი	თევზების და წყლის ხარისხის მონიტორინგი	მონიტორინგი	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”	მეთოდოლოგიის და მონიტორინგის შემუშავება მშენებლობის დაწყებამდე. ყოველწლიური მონიტორინგი 10 წლის განმავლობაში	14.500
	სახმელეთო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი	მონიტორინგი	-	“აჭარისწყალი ჯორჯია”	მეთოდოლოგიის და მონიტორინგის შემუშავება მშენებლობის დაწყებამდე. ყოველწლიური მონიტორინგი 10 წლის განმავლობაში	12.000
	ინვაზიური სახეობები შემოწმება	მონიტორინგი	-	CWO	მშენებლობის ფაზაზე და მშენებლობის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში	CWO-ს მოვალეობის ნაწილი

ცხრილი 3.4. ჯამური ხარჯი

პერიოდი	მეორე ფაზის შეფას	CWO	ფრინველების შემოწმება	ბუდეის მოწყობ	ხეების ინვენ	თესლის შეგროვ	მცენარეების გადარგვ	თევზის მარაგ	ჰაბიტატის დაგეგმ	ჰაბიტატის აღდგენ	მიწის შესყიდვა და	ბსგ შემუშავება	ბსგ საქმიანობა	ადაპტური მართვის	სატყეო გეგმა	ჯამი
---------	-------------------	-----	-----------------------	---------------	--------------	---------------	---------------------	--------------	------------------	------------------	-------------------	----------------	----------------	------------------	--------------	------

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ

[illegible]

4 ინსტიტუციონალური საკითხები და მათი განხორციელება

4.1 მშენებლობის პროექტის სტრუქტურა

4.1.1 მიმოხილვა

პროექტის სპონსორები არის „Clean Energy Group“. პროექტს ახორციელებს შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (ას).

მშენებლობის ფაზისთვის „აჭარისწყალი ჯორჯია“ მოქმედებს საპროექტო მენეჯმენტის სტრუქტურაზე დაყრდნობით. აღნიშნული სტრუქტურა გავრცელდება მთლიან პროექტზე და ექნება პროექტის მართვის როლი.

პროექტის მენეჯმენტის გუნდი შეითავსებს EHS განყოფილებას და თავზე აიღებს გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის გეგმების დამუშავება-განხორციელებას. ეს პროცესი გულისხმობს ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელშიც აისახება IFC შესრულების სტანდარტების პრინციპები.

4.1.2 მშენებლობის EHS მენეჯმენტი

4.1.2.1 „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მენეჯმენტი

„აჭარისწყალი ჯორჯია“-ს, როგორც ამ ბოლო დროს ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, ჯერ არ შეუქმნავია EHS და სოციალური პოლიტიკა და სისტემები, ისევე, როგორც სხვა არაერთი მნიშვნელოვანი მართვის სისტემა. მათი განზრახვაა შესაბამისი EHS განყოფილების ჩამოყალიბება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება EHS საკითხების მიმოხილვასა და მართვაზე როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების ფაზაზე.

EHS განყოფილების მოვალეობა იქნება კონტრაქტორების მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის და მონიტორინგის მენეჯმენტი და აუდიტი. საქმიანობა მოიცავს როგორც მართვის გეგმის მიმოხილვას, ასევე ტერიტორიის რეგულარულ მონახულებას და აუდიტს, გარდა ამისა გეგმის ფორმალურ განხილვასა და ანგარიშგებას.

განყოფილების სტრუქტურის, პერსონალის რაოდენობის და პასუხისმგებლობის ცვლა მოხდება პროექტის განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, ოპერირების ფაზაზე განყოფილების სტრუქტურა, როლი და პასუხისმგებლობები განისაზღვრება პროექტის განხორციელების მიხედვით.

„აჭარისწყალი ჯორჯია“-ს EHS და მხარდაჭერის კონკრეტული მიმართულებები ამჟამად ყალიბდება. გარდა ამისა, EHS განყოფილების, პოლიტიკის, პროცედურების და სისტემების სრულფასოვნად ჩამოსაყალიბებლად „აჭარისწყალი ჯორჯია“ მოიძიებს დამოუკიდებელ ექსპერტ-კონსულტანტებს.

EHS განყოფილების შტატების სტრუქტურა ამჟამად დამუშავების პროცესშია, მაგრამ სავარაუდოდ დაკომპლექტდება ცხრილში 4.1 მოცემული სტრუქტურის მიხედვით. „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს შტატის მთავარი როლი და პასუხისმგებლობა ჩამოყალიბდება EHS

მართვის სისტემის ფარგლებში და მოიცავს ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ სამუშაო პირობებს.

ცხრილი 4.1. “ას“-ს EHS განყოფილება

თანამდებობა	პასუხისმგებლობა	ადგილმდებარეობა	მშენებლობა	ოპერირება
EHS განყოფილების უფროსი	პოლიტიკა, ზოგადი პასუხისმგებლობა, ურთიერთობა მთავრობასთან	სათაო ოფისი, უზნების მონახულებით	✓	✓
EHS ოფიცრები (2)	ანგარიშგება, EHS სისტემის მართვა, აუდიტი	უზნებზე	✓	✓
EHS ადმინისტრაციის თანამშრომლები	ადმინისტრაციული მოვალეობები	სათაო ოფისში	✓	✓
CWO	გარეული ბუნების და ჰაბიტატების მონიტორინგი. ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩაბმა	უზნებზე	✓	✓
საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი	საზოგადოებასთან ურთიერთობა	უზნებზე	✓	✓

“აჭარისწყალი ჯორჯია” აცნობიერებს EHS მოთხოვნების განხორციელების და მართვის და EHS წამოწეული საკითხების მოგვარების აუცილებლობას. ამჟამად მიმდინარეობს EHS გუნდის ჩამოყალიბება და სავარაუდოდ დასრულდება 2012 წლის შუა თვეებში. მთავარი ყურადღება გამახვილებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხორციელების მართვაზე და ESMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდის აყვანა. უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია პარაგრაფში 4.2.3.

ზოგიერთი საქმიანობისთვის საჭირო იქნება დროებითი პერსონალის აყვანა, კერძოდ არქეოლოგი, ეკოლოგიის სპეციალისტი და პერსონალის/მოსახლეობისთვის ტრეინინგის ჩატარებისთვის საჭირო თანამშრომელი. მათი მუშაობის პერიოდში აღნიშნული პერსონალის განთავსება მოხდება მშენებლობის ოფისებში.

4.1.2.2 კონტრაქტორის EHS მართვა

ყველა კონტრაქტორს მოეთხოვება ISO 14001:2004 და OHSAS 18001:2007 ან შესაბამის პრინციპებთან შესაბამისობა. ეს პრინციპები ხელს უწყობენ გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემის გაუმჯობესებას და მის ეფექტურ გატარებას. ამასთან, ერთ-ერთი სატენდერო მოთხოვნა იყო კონტრაქტორის მიერ EHS პოლიტიკის, პროცედურების, მართვის ასლის, ასევე მართვის სისტემის მიმოხილვის და სამშენებლო EHS მართვის გეგმის

წარდგენა განსახილველად. მათი წინადადების ფარგლებში, კონტრაქტორს ასევე უნდა წარედგინა EHS სპეციალისტი, რომელიც იქნებოდა საპროექტო გუნდის წევრი.

შერჩეული კონტრაქტორები უნდა ეთანხმებოდნენ შემდეგი საქმიანობის განხორციელებას:

- საიტის/პროექტის სპეციფიკასთან მიახლოებული CEMP-ის ჩამოყალიბება, რომლის ჩარჩო მოცემულია პარაგრაფში 3.2;
- პარალელური გეგმების შემუშავება, რომელთა ჩარჩო მოცემულია პარაგრაფებში 3.3, 3.4, 3.5, 3.7, 3.8, 3.9, 3.10 და 3.12;
- სამშენებლო ESMP-ში შემარბილებელი ღონისძიებების მოთხოვნების ჩამოყალიბება;
- სამშენებლო უბნის გეგმის წარდგენა, რომელიც მოიცავს საქმიანობის ძირითად წერტილებს, მათ შორის დასაწყობებას, საცხოვრებელ ბინებს და სამომსახურეო ბლოკებს, ავტოსადგომს და ა.შ;
- ძირითადი საქმიანობის მიმართებაში დეტალური მეთოდური ღონისძიებების შემუშავება;
- ESMP მოთხოვნების შესრულებისთვის ყველა საჭირო სწავლების ჩატარება;
- EHS-ის მართვის და საკოორდინაციო პროცედურების გატარებაზე პასუხისმგებლობის აღება;
- EHS პასუხისმგებლობის მქონე მუდმივი კადრის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საიტზე მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობაზე.

კონტრაქტორის საპროექტო მენეჯმენტის ორგანიზაცია პასუხისმგებელი იქნება ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებულ საქმიანობაზე, მათ შორის ქვეკონტრაქტორების მიერ სამშენებლო ESMP-ის მოთხოვნებთან თანხვედრაზე.

ყველა კონტრაქტორს ეყოლება ბუნებრივი და სოციალური გარემოს პერსონალი, რომელიც განახორციელებს CEMP-ს და მუდმივად გაუწევს მის შესრულებას მონიტორინგს. პერსონალის პასუხისმგებლობა დეტალურად არის განხილული ქვემოთ. კონტრაქტორის EHS პერსონალს მოეთხოვება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს EHS პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ შორის ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა, ყოველკვირეულ შეხვედრებში მონაწილეობა და ა.შ. კონტრაქტორის EHS დაკომპლექტება გაწერილია ცხრილში 4.2.

ცხრილი 4.2. კონტრაქტორის EHS დაკომპლექტება

როლი	რაოდენობა	პასუხისმგებლობა	შენიშვნა
კონტრაქტორის ეკოლოგიის მენეჯერი და ეკოლოგიის ოფიცერი	1 1-3	ეკოლოგიური საკითხების მართვა და მონიტორინგი	მშენებლობის საქმიანობის დონიდან გამომდინარე ოფიცერების რაოდენობა შესაძლოა შეიცვალოს
კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი	1	სოციალური საკითხების მართვა და მონიტორინგი	“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს CLO-თან მჭიდრო თანამშრომლობა
ეკოლოგიური კლერკი	1	ყოველდღიური მონიტორინგი, აუდიტი, ანგარიშგება და ა.შ.	CWO-თან მჭიდრო თანამშრომლობა ჰაბიტატის დაცვის და შემარბილებელი ღონისძიებების

ეკოლოგიის ოფიცერი

კონტრაქტორისადმი ერთ-ერთი მოთხოვნა არის პირის/ების დანიშვნა რომლის მთავარი მოვალეობა იქნება CEMP-ის და პარალელური მართვის გეგმების ყოველდღიური განხორციელება. ფორმალური სამუშაოს აღწერა შესაბამისობაში იქნება ქვემოთ მოცემულ ელემენტებთან.

დანიშნულ პირს ექნება შემდეგი პასუხისმგებლობები:

- გარემოსდაცვითი მართვის განხორციელების უშუალო პასუხისმგებლობა;
- CEMP-ის და პარალელური გეგმების განხორციელების (კონტრაქტორის მშენებლობის მენეჯერთან თანამშრომლობით) და ყველა კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის CEMP-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედამხედველობა და უზრუნველყოფა;
- შესრულებულ საქმიანობაზე ანგარიშის მომზადება და წარდგენა მშენებლობის მენეჯერსა და “აჭარისწყალი ჯორჯია”-ში;
- ESMP-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ქვეკონტრაქტორების მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი/შემარბილებელი ღონისძიებების გატარების მიმოხილვა;
- კონტრაქტორის მშენებლობის მენეჯერის ყოველდღიური ინფორმირება CEMP-თან ნებისმიერი შეუსაბამობის ფაქტების შესახებ;
- ეკოლოგიური ცნობიერების ღონისძიებების რეგულარული გატარება და ეკოლოგიური სტანდარტების საიტზე გამოყენების ხელშეწყობა;
- შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე მუდმივი აუდიტი/დაკვირვება;
- საქმიანობის განხორციელება, როგორც პირველი საკონტაქტო წერტილი ეკოლოგიურ საკითხებზე როგორც კონტრაქტორისთვის, ასევე მთავრობის წარმომადგენლების, სხვა ორგანოების და საზოგადოებისთვის.

გარდა ამისა, არსებობს ცოდნის და გამოცდილების კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ოფიცერი, კერძოდ:

- გარემოსდაცვითი მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკის გაცნობიერება;
- ადგილობრივი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და ამ სფეროში მოსალოდნელი განვითარების ცოდნა;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის ტექნიკის პრაქტიკული გამოყენება;
- ეკოლოგიური მონაცემების შეგროვების უნარი შესაბამისი ანგარიშის შესადგენად;
- გარემოსდაცვითი პროცედურების მკაცრი, მაგრამ პრაგმატული შესრულება და მუშების მოტივირება გარემოსდაცვით საკითხებში;
- სამშენებლო უბნებზე მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

კონტრაქტორის მშენებლობის მენეჯერი

მშენებლობის მენეჯერის მოვალეობა იქნება ეკოლოგიური ოფიცის მონაცემებზე დაყრდნობით კოორდინირებული მუშაობა და CEMP-ის საიტზე გამოსაყენებლად შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლების დანიშვნის ხელშეწყობა. მშენებლობის მენეჯერი:

- უზრუნველყოფს, რომ ეკოლოგიურ ოფიცერს CEMP-ის შესასრულებლად გააჩნია შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია;
- აკყავს ეკოლოგიური ოფიცისთვის დამხმარე პერსონალი, საჭიროებისამებრ;
- პასუხისმგებელია ეკოლოგიურ საკითხებზე და შეუსაბამობებზე “აჭარისწყალი ჯორჯია”-თან და სხვა საპროექტო მენეჯერებთან ურთიერთობაზე.

4.1.3 ექსპლუატაციის EHS მენეჯმენტი

შემოთავაზებული ორგანიზაციული სტრუქტურა ოპერირების ფაზისთვის იქნება მშენებლობის ფაზის მსგავსი (იხ. ცხრილი 4.1). ოპერირების ფაზისთვის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემა შემუშავდება ISO 14001 მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ინსტიტუციონალური მოთხოვნები

4.2.1 შესავალი

“აჭარისწყალი ჯორჯია” ეფექტურად ახორციელებდა პროექტ დამოუკიდებლად იმ მომენტამდე, როდესაც საჭირო გახდა ESMP-ის მნიშვნელოვანი განვითარება. “აჭარისწყალი ჯორჯია”-მ განახორციელა ეკოლოგიის სფეროში გამოცდილი ქართველი ექსპერტების ჩართვა პროექტში, თუმცა აღსანიშნავია, რომ მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში აღნიშნული, დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარება კიდევ გახდება საჭირო. “აჭარისწყალი ჯორჯია” მოწოდებულია გამოიყენოს ყველა საჭირო რესურსი (გარე თუ შიდა) ESMP-ის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ამ პარაგრაფში მოცემულია ის მოთხოვნები, რომელთა შესრულება საჭიროა ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის და მონიტორინგის ღონისძიებების ეფექტური შესრულებისთვის. თუმცა, რეგულარულად ჩატარდება ამ მოთხოვნების მიმოხილვა დამატებითი პერსონალის ან რესურსების გამოვლენის მიზნით.

4.2.2 EHS სისტემები

ძირითადი მოთხოვნა იქნება ყოვლისმომცველი ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემის ჩამოყალიბება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ, რომელიც მოიცავს მშენებლობის ფაზის ძირითად მენეჯმენტს და შემდეგ განვითარება რათა უზრუნველყოს მართვის საიმედო სისტემა პროექტის ყველა კომპონენტისთვის.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემას (ESMS) “აჭარისწყალი ჯორჯია” შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, როგორც არის მაგალითად ISO 14001. მან უნდა მოიცვას შემდეგი ასპექტები:

- ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების რეგისტრაციის წარმოება;
- კანონმდებლობის და თანხმობის მოთხოვნების რეგისტრაციის წარმოება;
- გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარება;
- გარემოსდაცვით კანონმდებლობაზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი გაუმჯობესების პოლიტიკის შემუშავება და ეკოლოგიური ასპექტების განხორციელება შემდეგი ასპექტების განვითარების გზით:
 - ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის და მონიტორინგის პროცედურა;
 - ეკოლოგიური ოპერირების პროცედურა.
- სამოქმედო სიის მომზადება და პასუხისმგებლობების გადანაწილება;
- სასწავლო მასალების და შესრულების ინდიკატორების შემუშავება.

ESMS-ის წარმატებული განხორციელება მოიცავს მიმოხილვის და გაუმჯობესებების ციკლს, სადაც შესრულების ძირითადი ინდიკატორების რეგულარული მართვა და ESMS-ის ყოველდღიური განხორციელება უზრუნველყოფენ მის სწორად ფუნქციონირებას.

ESMS შემუშავდება მშენებლობის დაწყებამდე და შემდეგ მოიცავს ოპერირების ფაზასაც, ოპერირების ფაზისთვის შესაფერისი პოლიტიკის და პროცედურების დამატების საშუალებით. მშენებლობის ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვა განხორციელდება ESMS და კონტრაქტორის სამშენებლო გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საშუალებით. მშენებლობის წინა და მშენებლობის პერიოდებში ასევე შემუშავდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, რომლის გასაჯაროება იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა.

4.2.3 პოტენციალის გაზრდა

4.2.3.1 გარემოსდაცვითი პერსონალი

მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე ESMP-ის განხორციელებისთვის და EHS-ის და სხვა სოციალური საკითხების წარმატებული მართვისთვის “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ფარგლებში უნდა ჩატარდეს პოტენციალის მომატება.

HSE დეპარტამენტის მთავარი მოვალეობები მოიცავენ შემდეგს:

- ყველა მოვალეობის/მოთხოვნის გზშ-თან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოებთან კოორდინაცია;
- ESMS-ის განხორციელება და ყველა გარემოსდაცვითი ინჟინერის ზედამხედველობა საიტზე;
- გარემოსდაცვითი ინჟინერებისთვის გარემოსდაცვით საკითხებზე ტრეინინგების ჩატარება.

HSE განყოფილებისთვის დაინიშნება შესაბამისი პერსონალი. პერსონალის ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება პროექტის კონკრეტული ფაზის დაწყებამდე. შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად პერსონალს ჩაუტარდება სწავლებები.

ეკოლოგიის ოფიცერებს ექნებათ შემდეგი პასუხისმგებლობები:

- პროექტის გარემოსდაცვით მართვაზე და საქმიანობის EBRD-ის და IFC-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა;
- კონტრაქტორის ეკოლოგიის ოფიცრის მიერ მოწოდებული ანგარიშების და აუდიტის შედეგების მიმოხილვა;
- კონტრაქტორების საქმიანობის მიმოხილვა და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კომიტეტსა (საჭიროებისამებრ) და EBRD/IFC-ს;
- “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ESMP-ში გათვალისწინებულ მოვალეობებთან შესაბამისობის შესახებ ანგარიშის მომზადება და EBRD/IFC-ში წარდგენა;
- კონტრაქტორის გენერალურ მენეჯერთან ყოველდღიური ანგარიშის წარდგენა ყოველი შეუსაბამობის შესახებ;
- “აჭარისწყალი ჯორჯია”-თვის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის როლის ათვისება.

4.2.3.2 სოციალური საკითხების პერსონალი

ეკოლოგიური პერსონალის მსგავსად, საჭირო იქნება სოციალური და საზოგადოებრივი საკითხების მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის აყვანა. “აჭარისწყალი ჯორჯია” დანიშნავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს (CLO), რომლის პასუხისმგებლობის საკითხი იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მართვა და ESMP-ში გაწერილი სხვა სოციალური საკითხების მოგვარება, მაგალითად საზოგადოებრივი საჩივრების მექანიზმის, იავ ინფექციის/შიდსის ცნობიერების პროგრამის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების განხორციელება და ა.შ. CLO-ს პასუხისმგებლობები უფრო დეტალურად მოცემულია ქვემოთ.

CLO-ს მთავარი როლი არის ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება. იქიდან გამომდინარე, რომ CLO-ს დანიშნულება იქნება მოსახლეობის ჩივილების და წინადადებების მოსმენა და რეაგირება, იგი უნდა გააჩნდეს შემდეგი თვისებები და უნარები:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება;
- ადგილობრივი ენის და საზოგადოების/კულტურული დინამიკის ცოდნა;
- გახსნილი გონება და სხვისი აზრის პატივისცემა;
- პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა;
- ნდობის მაღალი დონე;
- თანამდებობისადმი და მისი მიზნებისადმი ერთგულება.

CLO-ს ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებლობა მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის საზოგადოებრივ კომპონენტების შემუშავება, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარმოადგენს რა საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარ საკონტაქტო პირს, მოიპოვოს ინფორმაცია ან საჩივრები, რომლებიც შემდგომში უნდა განიხილოს პრობლემების დროული და ეფექტური გადაწყვეტისთვის;
- ყველა შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება (მაგალითად, პროექტზე დასაქმების პოლიტიკა, რომელიც შემოთავაზებული როგორც შემარბილებელი ღონისძიება და საჩივრების მექანიზმი), დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების გამართვა და ყველა კომუნიკაციის ანგარიშში აღბეჭდვა;
- დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზება (გარდა მედიისა), განსაკუთრებით კი ადგილობრივი ჯგუფების ლიდერებთან (მაგალითად აქ არსებობს ქალთა ჯგუფები, ახალგაზრდული ჯგუფები, სოფლის უხუცესები, რელიგიური პირები) და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რის საშუალებითაც მოხდება დაინტერესებული მხარეებისთვის ნებისმიერი საინტერესო საკითხის ან პრობლემის განხილვა;
- ადგილობრივი ბიზნესის განვითარების იდეების ხელშეწყობა, რომლისთვისაც შესაძლოა გახდეს საჭირო სახელმწიფო გრანტის მოპოვება.

მეტი ეფექტურობისთვის, CLO-ს უნდა ჰყავდეს პირი, რომელიც იქნება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს წარმომადგენელი. ამისთვის საჭიროა შესაბამისი ანგარიშგების სტრუქტურის შემუშავება და იმის განმარტება, თუ რა გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მას ცალმხრივად, ხოლო რა შემთხვევაში უნდა მიმართოს ზემდგომ თანამშრომლებს. ანგარიშების წარდგენა იმოქმედებს მუშაობის განხორციელების ეფექტურობაზე, ვინაიდან უფროსი მენეჯერები მუდმივად იქნებიან ინფორმირებულები ამა თუ იმ საკითხებზე და შესაბამისად შეძლებენ რისკებზე რეაგირებას. ყველაზე დიდი რისკი შეიძლება იყოს პროექტის რეპუტაციის შელახვა და სხვა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ CLO-ს ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ზემდგომ მენეჯერებთან.

ველური ბუნების ოფიცერი (CWO) - საქმიანობის აღწერა

“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ დანიშნული CWO-ს მთავარი როლი არის აჭარის პროექტთან დაკავშირებული და ESMP-ში გაწერილი შემარბილებელი და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ძირითადი მიზანი უნდა იყოს აჭარის საპროექტო რეგიონის ფარგლებში ველური ბუნების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და გაუმჯობესების ხელშეწყობა, კერძოდ:

- აჭარის პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პოლიტიკების შეტყობინება, ახსნა და სადაც საჭიროა - გატარება;
- საპროექტო ტერიტორიაზე ნადირობის აკრძალვის აღსასრულებლად აკრძალვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების გაზრდა პროექტზე დასაქმებულ თანამშრომლებში;
- მდინარის/ტყის ჰაბიტატის აღდგენის მართვის და ასევე პროექტირების და მშენებლობის პროცესებში დახმარების აღმოჩენა;
- ეკოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რამაც უნდა მოიცვას ადგილობრივი სკოლები და ასევე საპროექტო ტერიტორია;
- საპროექტო ტერიტორიაზე გასვლების განხორციელება და კონტროლი და ისეთ საქმიანობებში დახმარების აღმოჩენა, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიონ ბიომრავალფეროვნებაზე;

- ეკოლოგიურად სენსიტიურ ადგილებში შესვლის ამკრძალავი ნიშნების შემუშავება და მოწყობა;
- საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში არსებული ეკოლოგიური მგრძნობელობის შესახებ კონტრაქტორებისთვის რჩევების მიცემა და სადაც საჭიროა, კონტრაქტორების ზედამხედველობა იმაში დასარწმუნებლად, რომ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება გარემოსდაცვით მოთხოვნებს;
- ინვაზიური სახეობების გავრცელების პრევენციის და მართვის შესახებ IFC სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივ ჯგუფებთან საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება, მათ შორის მიწის მესაკუთრეებთან, მიწის მმართველებთან და ბიზნესის სექტორთან (განსაკუთრებით რეკრეაციასა და ტურიზმზე ორიენტირებული ბიზნესები);
- ველური ტერიტორიების კონსერვაციის და მართვის შესახებ “აჭარისწყალი ჯორჯია”-თვის და საპროექტო პერსონალისთვის რჩევების მიცემა, საჭიროების შემთხვევაში;
- აჭარის პროექტისთვის ეკოლოგიური მონიტორინგის მოთხოვნების შემუშავება და გატარება.

5 ანგარიშების მომზადების მოთხოვნები

5.1 შესავალი

ESMP-ის (და შესაბამისი ESMS) პრაქტიკაში გატარებისთვის ეფექტური ანგარიშგება დიდი მნიშვნელობას წარმოადგენს. რუტინული დამოუკიდებელი აუდიტი წარმოადგენს მუდმივი გაუმჯობესებებისთვის საჭირო იმპულსს. ამ ორი ფუნდამენტალური ელემენტის საშუალებით მსგავსი სისტემები გარდაიქმნება ინფორმაციის შეგროვების პრაქტიკაში. შესრულების მონიტორინგი, აუდიტი და ანგარიშგება საჭიროა საქმიანობის გზშ-ს, ESMP-ს და ESMS-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მოცემულ პარაგრაფში წარმოდგენილია ISO 14001 მოთხოვნებთან შესაბამისი მიდგომა. აქ წარმოდგენილი ანგარიშების ყველა საბოლოო ფორმატი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ADB-თან. გარდა ამისა, თითოეული ანგარიში წარედგინება IFC-ს მიმოხილვისა და გასაჯაროებისთვის.

5.2 ადაპტური მენეჯმენტი

ESMP და გეგმები გატარდება „ადაპტური მენეჯმენტის“ მიდგომაზე დაყრდნობით. გეგმების შემუშავება საწყის ეტაპზე არის პროცესი, რომელსაც გააჩნა მიმდინარე პროექტის შესაბამისი მენეჯმენტის მიზნები და შესრულების ინდიკატორები. ESMP შეძლებისდაგვარად იყენებს ცნობებს პროექტის შესახებ არსებული ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების საკითხების მოსაგვარებლად, რაც ასევე შესაძლებელს ხდის პროექტის ფარგლებში მიღებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გადაწყვეტილებების მოქნილობას.

ESMP-ის ადაპტური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდეგი ქმედებების ჩატარება:

- ESMP მიმოხილვა და შესწორება მოხდება საპროექტო დიზაინის და განვითარების სტატუსის მიხედვით. საპროექტო ცვლილებების მიმოხილვა მოხდება თვეში ერთხელ, ხოლო საიტის მონახულებას განახორციელებს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს EHS პერსონალი, რის მთავარ მიზანს წარმოადგენს ნებისმიერი სახის ზემოქმედებების აღმოჩენა. მაგალითად, თუკი მიღსადენის მარშრუტი განსხვავდება თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული მარშრუტისგან, შესაძლებელია დადგეს ჰაბიტატის ახალი კვლევების ჩატარების საჭიროება და ზემოქმედებიდან გამომდინარე ეკოლოგიური მართვის ალტერნატიული ტექნიკის შემოთავაზება;
- ESMP-ის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება ჩატარდება რეგულარულად, პროექტის განვითარების პარალელურად, რაც გულისხმობს პროექტირების, მშენებლობის, ოპერირების და ექსპლუატაციიდან გაყვანის ფაზებს. შეფასება ჩატარდება კონტრაქტორებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და კრედიტორებთან მუდმივი კომუნიკაციის დახმარებით, რასაც თან დაერთვება საიტის აუდიტის და მონიტორინგის შედეგების განხილვა მართვის გეგმის სუსტი წერტილების აღმოსაჩენად. ESMP-ის ცვლილება და განახლება მოხდება შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩამოსაყალიბებლად.

5.3 “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს და სხვა მხარეების მონიტორინგი და ანგარიშების მომზადება

5.3.1 კონტრაქტორის ყოველთვიური შიდა ანგარიშები

ყველა კონტრაქტორს მოეთხოვება ყოველთვიური ანგარიშის მომზადება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიური მენეჯერისთვის განსახილველად. ანგარიშები უნდა იყოს ერთ ან ორ გვერდიანი და მოიცავდეს შემდეგს:

- მათი CEMP-ის და პარალელური მართვის გეგმების განხორციელების პროგრესია;
- მონიტორინგის პროგრამის შედეგებს, საკონტროლო სტანდარტებთან, სამოქმედო დონეებთან ან საიტის მართვის ზოგად სტანდარტებთან ნებისმიერ შეუსაბამობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით;
- შეუსაბამობის ანგარიშები (NCR);
- გარე პირებისგან შემოსული საჩივრები და მიღებული ზომები;
- საკანონმდებლო, მარეგულირებელ და საერთაშორისო პრაქტიკაში შესული და შესაძლო ცვლილებები.

კანონით/სამშენებლო ნებართვით ან/და გზშ-ს მიერ დადგენილი სტანდარტების ნებისმიერ დარღვევაზე უნდა ეცნობოს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს NCR ფორმატში.

5.3.2 “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს სამშენებლო საქმიანობის მონიტორინგი

“აჭარისწყალი ჯორჯია” ყოველდღიურად განახორციელებს კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის IFC-ს გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელოებთან შესაბამისობის, ასევე კონტრაქტორის დამტკიცებულ CEMP-ის და პარალელური გეგმების მონიტორინგს. შიდა აუდიტი უნდა ჩატარდეს 6 თვეში ერთხელ და მის მთავარ სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს კონტრაქტორის CEMP-ის შესრულება. გარდა ამისა, “აჭარისწყალი ჯორჯია” ჩაატარებს მუშების საცხოვრებელი ბანაკის აუდიტს.

დაწესებულ სტანდარტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში მომზადდება შესაბამისი ანგარიში და წარედგინება კონტრაქტორს, NCR ფორმატში.

ყოველი NCR-ს ასლი (კონტრაქტორის ან “აჭარისწყალი ჯორჯია” მიერ მომზადებული) უნდა გადაეცეს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიის ოფიცერს, რასაც შემდეგ ჩაენაცვლება საპასუხო ქმედებების ანგარიში ასლი. ასევე უნდა გატარდეს მაკორექტირებელი ღონისძიებების ანგარიშგება.

მშენებლობის ფაზაზე “აჭარისწყალი ჯორჯია” ნახევარ წელიწადში ერთხელ განახორციელებს საკუთარი მონიტორინგის შედეგებზე (მაგალითად, ჰაერის ხარისხის მონიტორინგი) დაფუძნებულ ანგარიშგებას. ეს ანგარიში დაერთვება ყოველწლიურ მდგრადობის ანგარიშს (იხ. შემდეგი პუნქტი).

5.3.3 “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ყოველწლიური მდგრადობის ანგარიშგება

მშენებლობის ფაზაზე “აჭარისწყალი ჯორჯია” ექვს თვეში ერთხელ მოამზადებს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებულ ანგარიშს. ოპერირების ფაზაზე ანგარიშგება ჩატარდება წელიწადში ერთხელ, ასევე მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. ანგარიში მოიცავს გზშ-ში მოცემულ ყველა ბუნებრივ და სოციალურ საკითხს.

კერძო სექტორების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებადი ანგარიშგების ჩარჩო არის გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI) და გაეროს გლობალური შეთანხმება. GRI-ის მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი პრინციპები და შესრულების მაჩვენებლები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციებს შეუძლიათ გაზომონ ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობა და მოამზადონ შესაბამისი ანგარიში. GRI თანამშრომლობდა IFC-თან ანგარიშგების მოთხოვნების IFC PS-თან შესაბამისობაში მოსაყვანად. გლობალური შეთანხმება არის ჩარჩო ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც უსადაგებენ თავიანთ საქმიანობას და სტრატეგიებს ადამიანთა უფლებების, შრომის, გარემოს დაცვის და ანტი-კორუფციულ ათ საქვეყნოდ მიღებულ პრინციპებს. გლობალური შეთანხმების კომპანიებს მოეთხოვებათ:

- საქმიანობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომ გლობალური შეთანხმება და მისი პრინციპები გახდეს სტრატეგიის, კულტურის და ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი;
- გლობალური შეთანხმების და მისი პრინციპების საჯაროდ მხარდაჭერა;
- ყოველწლიური კომუნიკაცია პრინციპების გატარების თაობაზე.

“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ყოველწლიური მდგრადობის ანგარიშგება დადებითად იმოქმედებს მის კორპორაციულ რეპუტაციაზე.

5.3.4 “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს გარე ანგარიშგება ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარე ანგარიშგების განხორციელება არის ძალიან მნიშვნელოვანი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ანგარიშგების მოთხოვნების რეგისტრაცია უნდა შემუშავდეს და წარმოადგინოს ESMS-ის ნაწილი. ანგარიშგების სიხშირე, ფორმატი და პასუხისმგებელი პირები ასევე უნდა აღინიშნოს.

პროექტის სასიცოცხლო ციკლში ყველა საქმიანობის ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად “აჭარისწყალი ჯორჯია” უზრუნველყოფს ყველა საჭირო ანგარიშის მომზადებას და დროულ წარდგენას. ნორმატიული მოთხოვნების დაკმაყოფილება ასევე წარმოადგენს შიდა აუდიტის და მართვის ანალიზის სკოპინგის ნაწილს.

5.4 ყოველწლიური დამოუკიდებელი ანგარიშები და კრედიტორების მიმოხილვა

5.4.1 დამოუკიდებელი მონიტორინგი

ყველა 'კატეგორია A' და 'კატეგორია B' პროექტებს სჭირდებათ დამოუკიდებელი ეკოლოგიური ან/და სოციალური საკითხების ექსპერტი, რომელიც დაამოწმებს პროექტის მონიტორინგის ინფორმაციას.

ოპერირების მინიმუმ პირველი სამი წლის განმავლობაში უნდა მიღებულ იქნას ზომები დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ აუდიტის ჩასატარებლად. აუდიტის ძირითადი მიზნები უნდა იყოს შემდეგი:

- ანგარიშის მომზადება ESMP-ის გატარების და ბოლო ვიზიტიდან განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- შემდეგი ვიზიტისთვის გასატარებელი გაუმჯობესების მიზნების დასახვა.

ეს აუდიტები მიზნად ისახავს ESMP-ის და CEMP-ის შესაბამისობების დამატებით კვლევას. ყურადღება უნდა მიექცეს მიღებულ გამოცდილებას, კერძოდ, გატარებულ მონიტორინგის პროგრამას და მის შედეგებს იმაში დასარწმუნებლად, რომ მიზანი მიღწეულია და მონიტორინგის შეწყვეტა ან სიხშირის შემცირება დასაშვებია.

სოციალური საკითხების მონიტორინგი მნიშვნელოვანია მუშების მართვის, მათი დასაქმების ვადების და პირობების (მათ შორის საცხოვრებელი უბნების), პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და საჩივრების მექანიზმის თვალსაზრისით. გარე მონიტორინგის მიზანია დარწმუნდეს დასაქმებული პერსონალის უფლებების სრულფასოვნებაში, კერძოდ შემდეგი საკითხების მიმართ:

- ბავშვთა შრომის გამოყენება;
- მინიმალური და დამატებითი ხელფასის გადახდა;
- მუშების გაერთიანების ჩამოყალიბების და კოლექტიური მოლაპარაკებების ხელის არ-შეშლა;
- იმაში დარწმუნება, რომ მუშებს არ მოეთხოვებათ სამსახურში აყვანისთვის რაიმე გადასახადების გადახდა;
- პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე გეგმების, პროცედურების და ტრეინინგების განხორციელება;
- დისკრიმინაციის არდაშვება და თანასწორი უფლებები;
- მუშების საჩივრების მექანიზმის ფუნქციონირება;
- ადამიანური რესურსების პოლიტიკის, სამსახურის აღწერის და წერილობითი კონტრაქტების არსებობა;
- მუშებისთვის მათი უფლებების და სამუშაო პირობების გაცნობა;
- პერსონალის სასწავლო ღონისძიებები.

დამოუკიდებელი ექსპერტების ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშები გასაჯაროვდება პროექტის და შესაბამისი IFI-ს ვებ-გვერდებზე.

5.4.2 IFC და სხვა კრედიტორების მონიტორინგი

IFC-ის წარმომადგენლები და სხვა ჩართული კრედიტორები, პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარების მონიტორინგის მიზნით მოინახულებენ საიტს. საპროექტო ტერიტორიის მონახულებამდე გაკეთდება წინასწარი შეტყობინება. “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს საველე პერსონალი უზრუნველყოფს დამატებითი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას და კონტრაქტორების, საზოგადოების და მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის კოორდინირებას, მოთხოვნის შემთხვევაში.

6 ESMP ბიუჯეტი

6.1 საორიენტაციო ბიუჯეტი

ESMP-ის საორიენტაციო ბიუჯეტი მშენებლობის დაწყებამდე და მისი განხორციელების პერიოდში შეადგენს 3.6 მილიონ აშშ დოლარს. ოპერირების ფაზისთვის ბიუჯეტმა შეადგინა 1.5 მილიონი აშშ დოლარი 30 წლიანი პერიოდისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგი შესაძლოა არ იყოს საჭირო მთელი 30 წლიანი პერიოდისთვის.

ESMP-ის ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ სფეროებს;

- კომპანიის დონეზე EHS მართვას, კოორდინაციას და კომუნიკაციას;
- ESMP-ის შესაბამისობის მონიტორინგს;
- “აჭარისწყალი ჯორჯია” გარემოსდაცვით მონიტორინგს;
- გარემოსდაცვით მართვას, მონიტორინგს და გაუმჯობესებას;
- მშენებლობის სოციალურ მენეჯმენტს.

ცხრილში 6.1. ნაჩვენებია თანხების გადანაწილება სხვადასხვა საქმიანობასა და მშენებლობის მთლიან და ოპერირების საწყის ეტაპებზე.

ცხრილი 6.1. საორიენტაციო ESMP ბიუჯეტი

ESMP ბიუჯეტი	მშენებლობა		ოპერირება
	წელიწადში (აშშ დოლარი)	ჯამი (აშშ დოლარი)	
EHS მართვა, კოორდინაცია და მართვა (10 წელი)	55,000	530,00	
ESMP შესაბამისობის მონიტორინგი (10 წელი)	10,00	100,000	
გარემოსდაცვითი მართვა, შერბილება, მონიტორინგი და გაუმჯობესება			
მე-2 ფაზა ეკოლოგიური ხარჯის შეფასება (3 წელი)	100,000	300,000	
ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (10 წელი)	230,000	2,300,000	
მშენებლობის სოციალური მენეჯმენტი	20,000	200,000	
ოპერირების ფაზის ეკოლოგიური მონიტორინგი და ტექნიკური უზრუნველყოფა (30 წელი)			1,500,000

6.2 სახსრების გადანაწილება/ბიუჯეტის განახლება

გზშ-ს მომზადების პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა ხარჯების შეფასება. მოსალოდნელია, რომ გარკვეულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობის დაგეგმვა ხდებოდა ბიუჯეტის მომზადების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ გათვალისწინებული ბიუჯეტი ზოგ შემთხვევაში არ იყოს საკმარისი, ხოლო ზოგ შემთხვევაში სჭარბობდეს დაგეგმილი საქმიანობის ხარჯებს. “აჭარისწყალი ჯორჯია” წელიწადში ორჯერ განახლებს გარემოსდაცვით და სოციალურ

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ



ბიუჯეტს ხარჯების გადანაწილების პარალელურად. შეტანილი ცვლილებები წარედგინება კრედიტორებს.

დანართები

დანართი A. CEMP-ის პარალელური გეგმები და პოლიტიკები

A1. დასაქმების პოლიტიკა

დასაქმების პოლიტიკა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- განაცხადი იმის შესახებ, რომ კონტრაქტორები დაემორჩილებიან საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას დასაქმებისას და შრომის მართვისას, მათ შორის ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის თვალსაზრისით;
- დასაქმების ტიპების აღწერა უნდა წარედგინოს ადგილობრივ მოსახლეობას და მოიცავდეს როგორ მშენებლობის, ასევე ოპერირების ფაზებზე საჭირო გამოცდილების დონეს, დასაქმების ვადებს, ანაზღაურებას და კონტრაქტების ხანგრძლივობას;
- დასაქმების პროცესების აღწერა, მათ შორის ვაკანსიების და სამსახურებრივი აპლიკაციების შესახებ ინფორმაციის დროული გასაჯაროება (დასაქმებამდე ერთი თვით ადრე მაინც);
- ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ ხდება დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა სოფლებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ადგილობრივ მოსახლეს აქვს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა.

სადაც ხარჯების და ხარისხის თვალსაზრისით გამართლებულია “აჭარისწყალი ჯორჯია” და კონტრაქტორები მიიღებენ კვოტას ადგილობრივი მოსახლეობისთვის. “აჭარისწყალი ჯორჯია” განახორციელებს კონტრაქტორების მონიტორინგს და იქ, სადაც ეს კვოტები არ კმაყოფილდება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს და კონტრაქტორების მოვალეობა იქნება იმის დემონსტრირება, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში საჭირო უნარები არ არსებობს. “აჭარისწყალი ჯორჯია” წარადგენს თავის პოლიტიკას ადგილობრივ მუნიციპალიტეტში რათა უზრუნველყოს დასაქმების პროცესის გამჭვირვალობა.

A2. მუშების საჩივრების მექანიზმი

მუშების საჩივრების მექანიზმი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კონტრაქტორის პოლიტიკა, რომლის მიხედვით საჩივრების შემოტანა შეუძლია პერსონალის ნებისმიერ წევრს რეპრესიის შიშის გარეშე;
- საჩივრებზე რეაგირების ვადების დანიშვნა საჩივარში წამოწეული პრობლემის დონის მიხედვით;
- საჩივრების რეგისტრაციის პროცესი და მათი მოგვარების დროის და ხერხის მითითება;
- განმეორებული ან გადაუჭრელი საჩივრის აღმოსაჩენად საჩივრების მონიტორინგის სისტემის დანერგვა და ასეთი შემთხვევების შეტყობინება;
- იმ პირების საკონტაქტო მონაცემები, ვისაც უნდა წარედგინოს საჩივრები.

საჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პერსონალ აყვანისთანავე, ხოლო იმ პირის მონაცემები, ვისაც უნდა წარედგინოს საჩივრები, გაიკვრება საიტის საცხოვრებელ კორპუსებში და ოფისებში.

A3. დროებითი მუშების საცხოვრებელი ბინების მართვის გეგმა

A.3.1. შესავალი

გზშ-ს ფარგლებში განისაზღვრა განსაკუთრებული ზომების და ღონისძიებების შემუშავების საჭიროება დროებითი მუშახელის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მშენებლობის ფაზაზე. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეს დანართი წარმოადგენს დროებითი მუშახელის საცხოვრებელი ბინის მართვის გეგმის ჩარჩოს, რომელიც უნდა შეიმუშაოს კონტრაქტორმა მშენებლობის ფაზაზე.

A.3.2. მიზნები

გეგმის ზოგად მიზანს წარმოადგენს ყველა მუშის საცხოვრებელის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა „მუშათა საცხოვრებლები: პროცესები და სტანდარტები, IFC და EBRD სახელმძღვანელო“-ს მაგალითზე (2009).

შემუშავებული იქნება კონკრეტული მიზნები, რომელთა მიღწევამ უნდა უზრუნველყოს, რომ საცხოვრებელი:

- არის უფასო პერსონალისთვის;
- გააჩნია საკმარისი ფართობი თითო კაცისთვის;
- უზრუნველყოფილია სანიტარული, სამრეცხაო და სამზარეულო ობიექტებით და სასმელი წყლით;
- აკმაყოფილებს ჯანმრთელობის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს და გააჩნია პირველადი დახმარების ყუთი და სამედიცინო ობიექტი;
- უზრუნველყოფილია შესაბამისი ვენტილაციით და გათბობით;
- არ ზღუდავს პერსონალის გადაადგილებას.

ამ მიზნების მიღწევის ხერხები განხილულია ქვემოთ.

A.3.3. მიდგომა და საქმიანობა

დროებითი პერსონალის საცხოვრებელი ბინების მართვის გეგმა შემუშავდება ყველა სამშენებლო უბნისთვის. აღნიშნული გეგმები შემუშავდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და მიჰყვება სტანდარტულ ფორმატს გაითვალისწინებს რა შემდეგ საკითხებს:

- საცხოვრებელი ბინების საჭიროების შეფასება და საცხოვრებელი ბინების ზემოქმედება საზოგადოებაზე, მათ შორის:

- მშენებლობის დროს სპეციფიური ზემოქმედებები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა;
- საზოგადოების მომსახურება და ობიექტები;
- ადგილობრივი ბიზნესი და დასაქმება;
- საზოგადოების ერთობა;
- დაშლა და აღდგენა.
- იმის დემონსტრირება, თუ როგორ დააკმაყოფილებენ საცხოვრებელი ბინები საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტებს შემდეგი საკითხების მიმართებაში:
 - ზოგადი საცხოვრებელი ობიექტები;
 - საძინებელი ოთახები;
 - სველი წერტილები;
 - სასადილო, სამზარეულო და სამრეცხაო;
 - კვების სტანდარტები და უსაფრთხოება;
 - სამედიცინო ობიექტი;
 - დასვენება, სოციალიზაცია და ტელეკომუნიკაცია;
- მართვის და მონიტორინგის მიდგომების, სტრუქტურის, როლის და პასუხისმგებლობების აღწერა შემდეგი საკითხების მიმართებაში:
 - მართვა და პერსონალის სტრუქტურა;
 - საცხოვრებელი ბინასა და მომსახურებაზე გადასახადების დაწესება;
 - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება უბანზე;
 - საცხოვრებლების დაცვა;
 - მუშების უფლებები, წესები და ნორმები;
 - კონსულტაციები და საჩივრების მექანიზმი;
 - საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვა.

ეს გეგმები მოიცავენ ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სამოქმედო გეგმას.

მშენებელი პერსონალის საცხოვრებელი ბინები უზრუნველყოფილი იქნება პროექტის თითოეული კომპონენტისთვის. საცხოვრებლების და დამხმარე ობიექტების მშენებლობა წარმოადგენს კონტრაქტორების პასუხისმგებლობის საკითხს. “აჭარისწყალი ჯორჯია” მიმოიხილავს და დაამტკიცებს კონტრაქტორის მიერ პროექტის მშენებლობის ფაზისთვის შემუშავებულ დროებითი პერსონალის საცხოვრებელი ბინების მართვის გეგმას.

კონტრაქტორს მოეთხოვება დანიშნოს ან გადაანაწილოს მოვალეობები მშენებლობის მენეჯმენტის გუნდზე ზემოხსენებული გეგმის შესასრულებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროცესში ხდება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება და რომ საცხოვრებელი ბინები იმყოფება კარგ მდგომარეობაში.

“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს EHS მენეჯერი ჩაატარებს ობიექტების აუდიტს თვეში ერთხელ და შეიმუშავებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს გეგმასთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში. პერსონალი შეეძლება წარუდგინოს საჩივრები კონტრაქტორს ან “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ნებისმიერ დროს, მუშების საჩივრების მექანიზმის საშუალებით.

A4. მასალების გამოყენება და ნარჩენების მართვის გეგმა

A.4.1. შესავალი

ამ დანართში წარმოდგენილია საიტის ნარჩენების მართვის გეგმის (SWMP) სტრუქტურა, რომელსაც “აჭარისწყალი ჯორჯია” და კონტრაქტორი გამოიყენებენ მშენებლობის ფაზისთვის საბოლოო SWMP-ს შესამუშავებლად. SWMP უნდა შეესაბამებოდეს და ავსებდეს კონტრაქტორის CEMP-ს.

შემუშავების შემდეგ შესაძლებელი იქნება SWMP-ის შესწორება და მოდიფიცირება მისი ოპერირების ფაზისთვის შესაბამისობაში მოსაყვანად.

A.4.2. მიზანი

SWMP-ის ზოგად მიზანს წარმოადგენს წარმოქმნილი ნარჩენების სეგრეგაცია და მართვა მეორადი გამოყენების და გადამუშავების და ზოგადად, ნარჩენების მინიმიზაციის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, SWMP-ის ფარგლებში უზრუნველყოფილია ისეთი ნარჩენების შესაბამისი საუკეთესო გამოცდილებით მართვა, რომელთა ტერიტორიიდან გატანა აუცილებლობას წარმოადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ მასალების ეფექტური გამოყენება ნარჩენების მინიმიზაციის ფუნდამენტალურ ასპექტს წარმოადგენს, SWMP ქმნის კავშირს მასალების შენახვას, დამუშავებას და გამოყენებასა და ნარჩენების მართვას შორის.

A.4.3. მიდგომა და საქმიანობა

თითოეული SWMP-თვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი საფეხურები:

- ყოველ ეტაპზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და მათი ინფორმირება პასუხისმგებლობების შესახებ. მათ მოეთხოვებათ შესაბამისი უფლებამოსილების ქონა საიტის სხვა თანამშრომლების WMP-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- მშენებლობის, ოპერირების და ექსპლუატაციიდან გაყვანის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების ტიპების და მოცულობის დადგენა;
- ნარჩენების მართვის ვარიანტების დადგენა - იქ, სადაც წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები ასეთი ნარჩენების იდენტიფიცირების და მართვის განსაკუთრებული პირობების შემუშავება და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება;
- ნარჩენების განთავსებისთვის შესაფერისი ტერიტორიების განსაზღვრა - იდეალურ ვარიანტში სასურველია ადგილობრივი ტერიტორიების გამოყენება, ტრანსპორტირების ხარჯის შესამცირებლად. ნარჩენების გასატანად შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამსახურის მომსახურებით სარგებლობა;

- ტრენინგი - SWMP-ის მოთხოვნებში ცნობიერების გასაღრმავებლად პერსონალისთვის სწავლებების ჩატარება;
- დაგეგმვა - ზემოაღნიშნული ეტაპების გათვალისწინებით პროექტის მთელი სიცოცხლის ციკლისთვის მოსალოდნელი წარმოქმნილი ნარჩენების პროცენტულობის ჩამოყალიბება;
- გაზომვა - წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა უნდა აღირიცხოს ყოველთვიურად და სადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მეორადად, შემცირდეს ან გადამუშავდეს;
- მონიტორინგი - პროექტის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში ნარჩენების მართვის მონიტორინგის განხორციელება WMP-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- საფრთხეების კლასები - სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული SWMP-ის ფარგლებში შესაძლებელი საჭირო გახდეს ზოგიერთი სახის ნარჩენისთვის განთავსების მართვის გეგმის შემუშავება, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების ან დასაწყობების ან/და განთავსებისთვის პოტენციურად პრობლემატური ნარჩენებისთვის. სადაც საჭიროა, ეს გეგმები მომზადდება დანართების სახით და მიმაგრდება შესაბამის WMP-ზე. განსაკუთრებით მოსალოდნელია გათხრითი სამუშაოების და გამონამუშევარი ქანების დასაწყობებისთვის მართვის გეგმის შემუშავების საჭიროების წარმოქმნა.

SWMP-ის მოცემული მაგალითი არის შუახევის სქემის მშენებლობის ფაზისთვის. იგი შემუშავდა ისე, რომ მიესადაგოს ყველა სქემას და ყველა ფაზას (მშენებლობა, ოპერირება და ექსპლუატაციიდან გაყვანა), მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ SWMP-ის ზოგიერთი ნაწილი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს პროექტის ამა თუ იმ ასპექტს, შესაბამისად საჭირო გახდება მცირე ცვლილებების შეტანა. კერძოდ, ზოგიერთ როლს ან პასუხისმგებლობას შეიძლება დასჭირდეს მოდიფიკაცია და ეს უნდა მოხდეს ამა თუ იმ ფაზის დაწყებამდე.

A.4.4. განხორციელება (მონიტორინგი, პერსონალის რესურსები, ბიუჯეტი)

ყოველი SWMP რომელიც შემუშავებულია პროექტის თითოეული კომპონენტისთვის გახდება კონტროლირებადი დოკუმენტი და CEMP-ის დოკუმენტაციის ნაწილი.

კონტრაქტორების და “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მონიტორინგის მოთხოვნები SWMP-ს განხორციელებასთან მიმართებაში იგივეა, რაც CEMP-თვის დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს CEMP-ის ზოგადი მონიტორინგის ბიუჯეტი მოიცავს მონიტორინგის ბიუჯეტს.

A.4.5. შუახევის მშენებლობის ფაზის მაგალითი

დოკუმენტის სახელი და ნომერი

დოკუმენტის სახელი: შუახევის მშენებლობის ფაზის საიტის ნარჩენების მართვის გეგმა (SWMP)

დოკუმენტის ნომერი: TBC

ვერსია

ვერსია 1 პირველი გამოცემა

ადგილმდებარეობა

შუახევის ჰესის სქემას ექნება 175 მკტ დადგმული სიმძლავრე და განლაგდება ულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში

ოპერირების ხასიათი

შუახევის ჰესის სქემასთან დაკავშირებული კომპონენტების მშენებლობა (მისასვლელი გზები, გვირაბები, კაშხლები, დამბები და ელექტროსადგურები).

შესაბამისი პოლიტიკა და კანონმდებლობა

ეროვნული კანონები

-

საერთაშორისო

- IFC ზოგადი EHS სახელმძღვანელოები (2007);
- IFC EHS სახელმძღვანელოები სამშენებლო მასალების მოპოვების შესახებ (2007);
- IFC-ის შესრულების სტანდარტი 3 დაბინძურების პრევენციის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ;
- EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 3 დაბინძურების პრევენციის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ.

როლი და პასუხისმგებლობა

კონტრაქტორის საიტის მენეჯერი არის SWMP-ს კოორდინატორი და შესაბამისად პერსონალის ინსტრუქციაზე, გეგმის განხორციელებაზე და განხილვაზე პასუხისმგებელი პირი.

ოპერირების მენეჯერი განახორციელებს SWMP-ს ეფექტურობის ზედამხედველობას საიტის მონახულების დროს. ამასთან, ჩატარდება დამოუკიდებელი აუდიტი. როლი და პასუხისმგებლობა მოცემულია ცხრილში 6.2.

ცხრილი 6.2. როლი და პასუხისმგებლობა

პოზიცია	სახელი	პასუხისმგებლობა	საკონტაქტო მონაცემები
საიტის მენეჯერი (კონტრაქტორი)	TBC	SWMP-ის კოორდინაცია	TBC
ოპერირების მენეჯერი ("აჭარისწყალი ჯორჯია")	TBC	SWMP-ის ეფექტურობის მონიტორინგი	TBC
EHS მენეჯერი ("აჭარისწყალი ჯორჯია")	TBC	შიდა აუდიტი. SWMP-ის ცვლილებების რეკომენდაციები	TBC
დოკუმენტაციის კონტროლიორი	TBC	აუდიტის შედეგების აღწერა და SWMP-ში	TBC

წარდგენა

კონტრაქტორის საიტის მენეჯერმა უნდა წარადგინოს SWMP-ის ასლები თითოეულ ქვეკონტრაქტორთან, რაც უნდა მოხდეს SWMP-ში ყოველი ცვლილების შეტანის შემდეგ.

ინსტრუქტაჟი და ტრენინგი

კონტრაქტორის საიტის მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს ბრიფინგის ჩატარება საიტზე, SWMP-იზე სესიების ჩატარება, განსაკუთრებით კი ნარჩენების შესაბამისი განცალკევების, დამუშავების, გადამუშავების და მეორადი გამოყენების მეთოდოლოგიის შესახებ. ნარჩენების თაობაზე უნდა ჩატარდეს რეგულარული შეხვედრები, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამისმა ქვეკონტრაქტორებმა.

ნარჩენების მართვის იერარქია

პროექტის საწყის ეტაპზე მოხდა ნარჩენების შემცირების საშუალებების გათვალისწინება. ქვეკონტრაქტორებს ასევე მოეთხოვებათ თავიანთი საქმიანობის პერიოდული მიმოხილვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები მინიმუმირებულია. ამასთან, უნდა შემოწმდეს მასალების დასაწყობება, დამუშავება და გამოყენება.

ის ნარჩენები, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია იყოფა მენეჯმენტის შემდეგ კატეგორიად:

- მეორადი გამოყენება;
- გადამუშავება;
- აღდგენა;
- ნაგავსაყრელზე განთავსება.

იმ შემთხვევაში, თუკი ნარჩენი მასალის გამოყენება შესაძლებელია სამუშაოებზე, ისინი კლასიფიცირდება როგორც მეორადი გამოყენების მასალა. თუკი საჭიროა ნარჩენების გატანა, მაგრამ ისინი ექვემდებარება აღდგენას, შესაბამისად ისინი ექვემდებარებიან გატანას და ხელმეორე გამოყენებას.

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი მასალით სარგებლობა ვერ ხერხდება იმჟამინდელი ფორმით, თუმცა სახეცვლილი ფორმით გამოყენება შესაძლებელია - მაშინ ის ექვემდებარება გადამუშავებას ან აღდგენას.

თუკი ზემოაღნიშნული საქმიანობებიდან არცერთის განხორციელება არ ხერხდება, მაშინ ერთადერთი გზა არის ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება.

წარმოქმნილი ნარჩენი მასალების მიმოხილვა იქნება რეგულარული და მათ მიმართ განხორციელდება შესაბამისი საქმიანობა. ნაგავსაყრელის გამოყენება უნდა განიხილებოდეს ბოლოში.

მასალების დასაწყობება, დამუშავება და გამოყენება

საუკეთესო ნარჩენების მართვის პრაქტიკა იწყება ნარჩენების წარმოქმნის პრევენციით და მინიმიზაციით ნედლი მასალის ეფექტური შენახვით, დამუშავებით და გამოყენებით. სქემისთვის ამ მიზნის მისაღწევად უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სადაც შესაძლებელია უნდა მოხდეს მასალის ხელმეორე გამოყენება. მშენებლობის ფაზაზე ამის ყველაზე მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა გამონამუშევარი ქანები;
- რაციონალური მომსახურების და ოპერირების პრაქტიკის დაწესება, მათ შორის ვადაგასული, დაბინძურებული, დაზიანებული ან ჭარბი რაოდენობის მასალებისგან წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის შემცირებისთვის ინვენტარიზაციის კონტროლი;
- შესყიდვების ისეთი ღონისძიებების დანერგვა, რომლებიც ითვალისწინებენ მასალების ზუსტი ოდენობით შესყიდვას, დროულ მოწოდებას, შეფუთვის მინიმიზაციას და ა.შ;
- ოპერირების ფაზის ეფექტური აუდიტის გზით ნედლი მასალის შემცირების გზების აღმოჩენა;
- ეკონომიკურად და ტექნიკურად გამართლებულ შემთხვევებში ნედლი მასალის ჩანაცვლება ნაკლებად სახიფათო და ტოქსიკური მასალით.

ნარჩენების მართვა საიტზე

ნარჩენი მასალას წარმოქმნება ტერიტორიაზე შემოტანილი მასალების ან ტერიტორიაზე არსებული მასალებიდან. კონტრაქტორს მოეთხოვება ნარჩენების მართვა ცხრილში 6.3. გაწერილი ღონისძიებების მიხედვით.

IFC EHS სამშენებლო მასალების მოპოვების სახელმძღვანელოს მიხედვით, ნაგავსაყრელისთვის შერჩეული ტერიტორიიდან უნდა მოიხსნას ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდეს შემდგომში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

ძირითადად კონტრაქტორმა უნდა შეიმუშაოს ნარჩენების განთავსების ტერიტორია, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ მისი გამოყენება ხდება მხოლოდ გამონამუშევარი ქანების განსათავსებლად. ტერიტორიის სხვა სახის ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან ასარიდებლად მონიტორინგი წარმოადგენს საუკეთესო შემარბილებელ ღონისძიებას.

ცხრილი 6.3. ნარჩენები და ნარჩენების მართვა

ნარჩენი	ნარჩენების კლასიფიკაცია	ნარჩენების წყარო	დროებითი დასაწყობების მეთოდი	ნარჩენების განთავსება	შენიშვნა
გამონამუშევარი ქანები	ინერტული (გეოქიმიური ანალიზით დადასტურება)	გვირაბის გაყვანისას და საპირკველის მოწყობისას	დასაწყობებას არ ექვემდებარება. მასალის ხარისხიდან გამომდინარე მისი გამოყენება შესაძლებელია მშენებლობაზე. ზედმეტი მასალის გადატანა მოხდება განთავსების ტერიტორიაზე	ნარჩენების განთავსების საიტი	მეორადი გამოყენების პოტენციალისთვის საჭიროა გეოქიმიური ანალიზი
ბეტონი	უსაფრთხო	დამბების და სხვა ნაგებობების მშენებლობისას დარჩენილი ბეტონი	ევროპის ნარჩენების კატალოგის (EWC) მიხედვით სეგრეგაცია და დასაწყობება	შეგროვება დამსხვრევის და ხელახალი გამოყენებისთვის, მათ შორის გზებისთვის	არა
ბეტონის გამონარეცხი	თხევადი ნარჩენი. პოტენციურად სახიფათო	ბეტონის ქარხნის გარეცხვა	წყალი რომლის გამოყენება შესაძლებელია ეგრევე უნდა შეინახოს ღია ორმოში ან ავზში	ბეტონის გამონარეცხი წყლის გამოყენება შესაძლებელია საიტზე. ბეტონის ქარხანა უნდა გულისხმობდეს ასევე წყლის რეცირკულაციას. ნარჩენი წყალი უნდა მოთავსდეს ავზში და მიეცეს აორთქლების საშუალება. დარჩენილი წყალი უნდა გაიწმინდოს ზედაპირულ წყლებში ჩაშვებამდე	არა
რკინა და ლითონი	უსაფრთხო	გამაგრებითი სამუშაოების დროს, ასევე აღჭურვილობის შეკეთებისას	ევროპის ნარჩენების კატალოგის მიხედვით სეგრეგაცია და დასაწყობება	შეგროვება	არა
ფერადი მეტალი	უსაფრთხო	გამაგრებითი სამუშაოების დროს, ასევე აღჭურვილობის	ევროპის ნარჩენების კატალოგის მიხედვით სეგრეგაცია და	შეგროვება	არა

		შეკეთებისას	დასაწყობება			
აგურები და ფილები	უსაფრთხო	სამშენებლო საქმიანობა	ევროპის ნარჩენების კატალოგის მიხედვით და დასაწყობება	აღდგენა და მეორადი არა გამოყენება შესწავლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზირებულ ობიექტზე მოთავსება		
ზეთები და საპოხი მასალა	სახიფათო	აღჭურვილობის შეკეთებისას და ტექნიკური მომსახურებისას	ორმაგი ძირის მქონე დოლში შეგროვება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	აღდგენა და მეორადი არა გამოყენება შესწავლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზირებულ ობიექტზე მოთავსება		
ზეთით დაბინძურებული ნაჭრები	სახიფათო	აღჭურვილობის შეკეთებისას და ტექნიკური მომსახურებისას	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	აღდგენა და მეორადი არა გამოყენება შესწავლილია, ლიცენზირებულ ობიექტზე მოთავსება		
შესაფუთი მასალა	უსაფრთხო	აღჭურვილობის მასალების მოწოდება	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის		
ძირითადი საყოფაცხოვრებო ნარჩენები (მათ შორის საკვები)	უსაფრთხო	სემინარები და მუშების საცხოვრებლები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის		
შუშა	უსაფრთხო	სემინარები და მუშების საცხოვრებლები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის		
პლასტიკატი	უსაფრთხო	სემინარები და მუშების საცხოვრებლები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის		
ქაღალდი და მუყაო	უსაფრთხო	სემინარები და მუშების საცხოვრებლები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის		
ბატარეები	სახიფათო	სემინარები და მუშების საცხოვრებლები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და	გადამუშავება შესწავლილია.		არა

		სატრანსპორტო საშუალების შეკეთება	დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზირებულ ობიექტზე მოთავსება
ფლურესცენციული ნათურები	სახიფათო	სემინარები და მუშების საცხოვრებლები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	შეგროვება ალდგენისა და არა ხელახალი გამოყენების მიზნით
ხის ნარჩენები	უსაფრთხო	სამშენებლო სამუშაოები	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის არა მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის
საღებავები და ქიმიკატები	სახიფათო	საღებავი -შენობების და ინფრასტრუქტურის დასრულება ქიმიკატები - ინფრასტრუქტურის კომპონენტების ინდუსტრიული წმენდა	ორმაგი ძირის მქონე დოლში შეგროვება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	ალდგენა და ხელახალი არა გამოყენება შესწავლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზირებულ ობიექტზე მოთავსება
საბურავები	უსაფრთხო	სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	სეგრეგაცია EWC კოდექსის მიხედვით და დასაწყობება ნარჩენების მართვის ტერიტორიაზე	კომპეტენტური პირის არა მიერ მოგროვება გადამუშავებისთვის

დროებითი ნარჩენების შენახვა და სეგრეგაცია

საიტზე ნარჩენების შენახვის ობიექტები წარმოადგენენ საიმედო, მოკლე ვადიანი შენახვის ტერიტორიას, სადაც ინახება ყველა ნარჩენი მის შესაბამისი სამსახურების მიერ ტერიტორიიდან გატანამდე.

ნარჩენების სხვადასხვა ტიპები ინახება ცალ-ცალკე, რაც მომავალში ნარჩენების გადამუშავების საშუალებას იძლევა. ყველა სახიფათო ნარჩენის სეგრეგაცია და უსაფრთხო ნარჩენებისგან განცალკევებით შენახვა.

“აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ოპერირების მენეჯერის მიერ უნდა მომზადდეს ნარჩენების განთავსების ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და თან დაერთოს SWMP-ს.

გადამუშავების და ნარჩენების ურნები უნდა ინახებოდეს სისუფთავეში, მათ უნდა გასაგები აღნიშვნები, მასალების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ნარჩენების სეგრეგაციისთვის გამოიყენება შემდეგი ურნები:

- რკინა და ლითონი;
- ფერადი ლითონი;
- აგური და ფილები;
- შესაფუთი მასალა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მათ შორის საკვები;
- შუშა;
- პლასტიკი;
- ქაღალდი და მუყაო;
- ბატარეა;
- ფლურესცენტული ნათურები;
- ხის ნარჩენები.

მშენებლობის პროცესის ცვლილების და შესაბამისად სხვა სახის ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ნარჩენების სეგრეგაციის მიმოხილვა, და შესაბამისი კატეგორიის მინიჭება.

მონიტორინგის, ანგარიშგების და აუდიტის მოთხოვნები

SWMP მოთხოვნები ამ საკითხებთან მიმართებაში წარმოდგენილია ცხრილში 6.4, ხოლო მონაცემები ყოველთვიურ ნარჩენებზე მოცემულია ცხრილში 6.5.

ცხრილი 6.4. მონიტორინგის, ანგარიშგების და აუდიტის მოთხოვნები

ასპექტი	სიხშირე	პასუხისმგებლობა	ანგარიშგება	შენიშვნა
მასალების შენახვის, 6 თვეში ერთხელ დამუშავების და გამოყენების აუდიტი		საიტის მენეჯერი (კონტრაქტორი)	მოკლე ანგარიშის მომზადება და წარდგენა ოპერირების მენეჯერთან. შემდეგი საკითხების მოცვა: • ხელმეორედ გამოყენებული მასალის რაოდენობა და ტიპი; • მასალის ინვენტარიზაციის შედეგები; • მასალების ეფექტურობის აუდიტის შედეგები; • ნედლი მასალის ნაკლებად სახიფათო მასალებით ჩანაცვლება.	არა
ნარჩენებთან დაკავშირებული ეკოლოგიური ინციდენტები	მათი წარმოქმნისთანავე	პერსონალი რომელიც აღმოაჩენს პრობლემას საიტის მენეჯერი	შემთხვევების შესახებ საიტის მენეჯერის და ოპერირების მენეჯერის დაუყოვნებლივი შეტყობინება ყველა შემთხვევის აღწერა	არა
საიტის მონახულება, მათ შორის ნარჩენების განთავსების ტერიტორიები	ყოველდღიურად	საიტის მენეჯერი (კონტრაქტორი)	კომენტარების ჟურნალში ჩაწერა. ყველა საკითხის ოპერირების კონტრაქტორთან წარდგენა.	არა
საიტის მონახულება SWMP-ს ეფექტურობის დასადგენად	დაახლოებით კვირაში ერთხელ	ოპერირების მენეჯერი	განხილვები საიტის მენეჯერთან	არა

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ



ნარჩენების გაკონტროლება საბოლოო განთავსების სისწორის უზრუნველსაყოფად	6 თვეში ერთხელ	საიტის (კონტრაქტორი)	მენეჯერი	მოკლე მომზადება და წარდგენა ოპერირების მენეჯერთან.	ანგარიშის წარდგენა	შესაბამისობა IFC EHS სახელმძღვანელოსთან (2007)
ნარჩენების გადატანაზე ლიცენზიის მოპოვება	ახალი კონტრაქტორის ჩართვის დროს	საიტის (კონტრაქტორი)	მენეჯერი	ნარჩენების კომპანიის ასლის ქონა	გამტანი ლიცენზიის	არა
ნარჩენების ჩანაწერები	გატანის ნარჩენების დროს	გატანის საიტის (კონტრაქტორი)	მენეჯერი	ნარჩენების კომპანიის ასლის ქონა	გამტანი ლიცენზიის	არა
ნარჩენების მართვის პრაქტიკა და SWMP-ის ეფექტურობა	ყოველთვიურად	EHS (“აჭარისწყალი ჯორჯია”)	მენეჯერი	აუდიტის მომზადება. უნდა ნებისმიერი რეკომენდაცია და გაუმჯობესებისკენ მიმართული საქმიანობა	ანგარიშის ანგარიშში შევიდეს სახის და	არა
წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის აღრიცხვა და თითოეული ნარჩენის ტიპისთვის სანაყაროზე განთავსების საბოლოო ვარიანტის მინიჭება მისი მოცულობის მიხედვით	ყოველთვიურად	საიტის (კონტრაქტორი)	მენეჯერი	ყოველთვიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა ოპერირების მენეჯერთან.		არა
მიმდინარე საქმიანობის და იმჟამინდელი ნარჩენების განთავსების ვარიანტების მიმოხილვა	ყოველწლიურად	საიტის (კონტრაქტორი)	მენეჯერი	პროცესების მიმოხილვა ნარჩენების მინიმიზაციის ღონისძიებების გამოსავლენად იმ მომენტისთვის არსებული ნარჩენების განთავსების ვარიანტების მიმოხილვა საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის დასადგენად. მოკლე ანგარიში და ყველა შესაძლო რეკომენდაცია უნდა		არა

	წარედგინოს EHSმენეჯერს და ოპერატორ მენეჯერს
--	---

[illegible]

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ



შესაფუთი მასალა	ხელმეორე გამოყენება
	გადამუშავება
	სანაყაროზე განთავსება

[illegible]

აჭარისწყლის კასკადის პროექტის გზშ

[illegible]

A5. საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა

A.5.1. შესავალი

დანიშნული კონტრაქტორები უნდა დათანხმდნენ დროებითი საგზაო მიმოსვლის მართვის ღონისძიებებზე და შემდეგ მიიღონ და მონიტორინგი გაუწიონ მუშაობის შესაბამის გზას, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და პოლიციასთან თანამშრომლობით.

თავდაპირველ საგზაო მართვის გეგმაში (TMP) მოცემულია ჰესის კომპონენტების ტრანსპორტირების ეფექტურობის მომატების ღონისძიებები, მაგრამ მათ შესაძლებელია ზემოქმედება იქონიონ ზოგად საგზაო მოძრაობასა და განსაკუთრებით სასწრაფო დახმარების მანქანების გადაადგილებაზე. საზოგადოებრივი მოხმარების გზების დაზიანება ასევე გათვალისწინებულია. მოცემული დოკუმენტი უზრუნველყოფს საგზაო უსაფრთხოებას და გზების დამაკმაყოფილ მდგომარეობას და დასრულდება კონტრაქტორთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ.

A.5.2. დიდი ტვირთები

A.5.2.1. შესავალი

ჰესების მძიმე კომპონენტების გადასატვირთად გამოყენებული იქნება წინასწარ განსაზღვრული მისასვლელი გზები. ეს მარშრუტები წინასწარ იქნება შეთანხმებული შესაბამის ორგანოებთან და პოლიციასთან. დიდი ტვირთებიდან მოსალოდნელია შემდეგი:

- სამი 3-ფაზიანი ტრანსფორმატორი (ზეთის გარეშე), რომლის თითოეულის წონა შეადგენს 55-90 ტონას (ზომის და სქემის მიხედვით);
- წინასწარ აწყობილი პელტონის სისტემა, საშუალო წონით 50-60 ტონა;
- თორმერი საბურღი საშუალება, თითოეულის წონით 40 ტონა;
- გვირაბგამყვანის ნაწილები;
- D8 ბულდოზერები, დაახლოებით 40 ტონა.

A.5.2.2. მიწოდების გეგმა

სადგურის კომპონენტების საიტზე მიწოდება უნდა მოხდეს შესაბამის დროს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და პოლიციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომპონენტების მიწოდება მოხდება გზის საშუალებით, ხოლო დასაწყობდება განკუთვნილი მარშრუტის მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაფერისი ტერიტორიის შერჩევა და ავტორიზაციის მოპოვება იქნება კონტრაქტორის მოვალეობა.

რეკომენდირებულია გამცილებელი ტრანსპორტის გამოყენება, რომელიც მიაცილებს ტვირთებს დანიშნულების ადგილამდე. ესკორტი უზრუნველყოფს საგზაო ნაკადის თავისუფალი

მომრაობის ხელის შეშლის მინიმიზაციას. ესკორტის მძღოლები პასუხისმგებელნი არიან მარშრუტის გაკვალვაზე, წინასწარ განსაზღვრული გაჩერებს მოწყობაზე და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე. ყველა მძღოლს ექნება რაცია, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ ერთმანეთთან დაკავშირებას.

ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოება წარმოადგენს უმაღლეს პრიორიტეტს. ამის უზრუნველსაყოფად დანიშნული იქნება დამატებითი პერსონალი (სასურველია საკითხის პოლიციასთან წინასწარი შეთანხმება).

მძღოლის ინდუქცია დიდი ტვირთების გადამყვანი ტრანსპორტისთვის არის შემდეგი:

- უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ ინსტრუქტაჟი, მათ შორის ყველა გაუთვალისწინებელი შემთხვევის ღონისძიებების დეტალები;
- შესაბამისი დაცვის და სიჩქარეების საჭიროება;
- სენსიტიური ტერიტორიების განსაზღვრა;
- დადგენილი მარშრუტის განსაზღვრა, იმის ახსნა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ მარშრუტის დაცვა, საესკორტო სისტემის შემოღება და წინასწარ განსაზღვრულ წერტილებში გაჩერებების გაკეთება საგზაო ნაკადის განტვირთვის მიზნით.

როგორც TPM-ის შემადგენელი ნაწილი, საჭირო იქნება სარეზერვო გეგმის შემუშავება, პოლიციასთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, რომელიც გაითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დიდი ტვირთის გადამტანი სატრანსპორტო საშუალება ხდება უმოძრაო და აფერხებს სხვა საშუალებების გადაადგილებას.

A.5.3. სტანდარტული სატვირთო მანქანები

A.5.3.1. მიწოდების გეგმა

ძირითად სატრანსპორტო საშუალებებს და სამშენებლო ტექნიკას საესკორტო მომსახურება არ დასჭირდება. თუმცა, მძღოლებმა უნდა დაიცვან წინასწარ შერჩეული მარშრუტი. HGV-ს მძღოლები უნდა აკმაყოფილებდნენ კარგ საგზაო პრაქტიკას, ამისთვის მათ ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი გზების ვიწრო მონაკვეთებზე გაჩერებაზე, რათა დანარჩენმა მანქანებმა შეძლონ თავისუფლად გასვლა. ისევე როგორც დიდი ტვირთების, ასევე მოცემულ შემთხვევაში ეს ყოველივე ასახული იქნება მძღოლის ინსტრუქციაში.

ყველა ზოგადი სამშენებლო ტრანსპორტი, მათ შორის ბეტონის გადატანასთან დაკავშირებული ღონისძიებები, უნდა განხორციელდეს საიტის სამუშაო საათებში. ტრანსპორტი იმოდრავებს წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით.

ზედმეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ნიშნების მოწყობა იქნება მინიმალური, მოხდება მხოლოდ დროებითი მიმართულების მანიშნებელი ნიშნების ინსტალაცია. დეტალები უნდა შეთანხმდეს კონტრაქტორსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და პოლიციასთან.

გარემოს დაცვა

კონტრაქტორს მოეთხოვება რეგულარული ინსპექციების ჩატარება იმაში დასარწმუნებლად, რომ გზები სუფთაა ჭუჭყისა და ნადებისგან, მშრალი ამინდის პირობებში კი მტვრისგან.

საიტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსადგომები, რომლებიც მოემსახურება სადგურს, მომწოდებელ ტრანსპორტს, საიტის თანამშრომლებს და ვიზიტორებს.

ბორბლების და კორპუსის სამრეცხაო მოეწყობა მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიებზე. სამრეცხაო იფუნქციონირებს მშენებლობის მთელი პერიოდის მანძილზე. საიტის მისასვლელ გზასთან არსებული გზები და S-1 მუდმივად გაიწმინდება მშენებლობით გამოწვეული დამაბინძურებელი ზემოქმედებების მინიმიზაციის მიზნით.

საწვავის შეთხვევაში იარსებებს შეზღუდვა. დასაშვები იქნება მხოლოდ იმ ოდენობის საწვავის შემოტანა, რაც საჭიროა სადგურის ფუნქციონირებისთვის.

ყველა ნარჩენის გატანა მოხდება შესაბამისი ნორმების მიხედვით. სადაც ეს შესაძლებელია მოხდება მასალების მინიმიზაცია და ხელახალი გამოყენება და გადამუშავება.

მისასვლელი გზების მონიტორინგზე პასუხისმგებელია კონტრაქტორი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გზების, ხიდების, კედლების და საკუთრების მთლიანობა.

ისეთ შემთხვევებში, თუკი გზის გაუმჯობესების სამუშაოები ზემოქმედებენ კედლებზე, ცოცხალ შემოღობვაზე, ნაპირებზე ან სანიაღვრე არხებზე - მოხდება ამ ობიექტების ან გადაკეთება ან სამუშაოების შემდგომ აღდგენა.

გზის გაუმჯობესების სამუშაოებში გამოყენებული იქნება ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული მასალა.

ხიდებზე ნებისმიერი სახის სამუშაოების ჩატარება წინასწარ უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და შესაბამის გარემოსდაცვით სამსახურებთან.

ყველა პუნქტში სამუშაოები ჩატარდება მინიმალურ მონაკვეთებზე, სადგურის აღმართვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, დაწესებული იქნება სპეციალური დრო, როდესაც სატვირთო მანქანებს მიეცემათ სენსიტიურ ტერიტორიებზე გავლის საშუალება (მაგალითად სკოლის დაწყების/დამთავრების და საზოგადოებრივი მოვლენების დროს კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად).

მანქანა და საშუალო ტვირთის გადამტანი ტრანსპორტი

სავარაუდოდ, მანქანები და მინი-ავტობუსები ისარგებლებენ სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებისთვის დაწესებული მარშრუტით. ასეთი ტრანსპორტის მიერ გზებით სარგებლობაზე აკრძალვის დანიშვნა გათვალისწინებული არ არის.

სადაც ეს შესაძლებელია, პერსონალის სამუშაო ადგილებზე მიყვანა მოხდება მინი ავტობუსების საშუალებით.

ტერიტორიაზე იარსებებს შესაბამისი ავტოსადგომი.

A.5.4. შეტყობინება

სასწრაფო მომსახურება

წინასწარი კონსულტაციებით დადგენლი პროცედურების თანახმად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, პოლიციას და სხვა შესაბამის ორგანოებს წინასწარ ეცნობებათ მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ამისთვის საჭირო იქნება ყოველკვირეული და ყოველდღიური კომუნიკაცია.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრანსპორტის მიმოსვლით არანაირი ზემოქმედება არ არის გამოქვეული პროექტის აღმასრულებელი თანახმაა პოლიციასთან და სხვა სასწრაფო დახმარების მომსახურებებთან თანამშრომლობაზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს 4 კვირით ადრე გაეგზავნება მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ, და ასევე ყოველკვირეული განახლებები.

საქმიანობის აღმასრულებელი ითანამშრომლებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შესახებ ინფორმაციის მედიაში გასავრცელებლად.

ასევე თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს საგზაო დეპარტამენტთან, იმაში დასარწმუნებლად, რომ მძიმე ტექნიკის გადაადგილება არ შეაფერხებს რაიმე სახის მიმდინარე საინჟინრო სამუშაოებს.

ადგილობრივი თემები

საქმიანობის განმახორციელებელს და კონტრაქტორებს ექნებათ მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივი თემების წარმომადგენლებთან, მიწის მფლობელებთან და ნორმატიულ კონსულტანტებთან. ეს გულისხმობს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწვდენას, განსაკუთრებით კი ისეთ საქმიანობაზე, რომელმაც შესაძლოა რაიმე ზეგავლენა მოახდინოს. საქმიანობის განხორციელების საათებში ხელმისაწვდომი იქნება ტელეფონის ნომერი, რომელზე დარეკვითაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი წამოჭრილი პრობლემის დაფიქსირება.

გარდა ამისა, მჭიდრო ურთიერთობა დამყარდება ადგილობრივ მმართველ ორგანოებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამშენებლო საქმიანობით ადგილობრივი გზების ქსელს არ ადგება ზემოქმედება.

ინფორმაცია სამშენებლო საქმიანობის შესახებ და მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ გავრცელდება საინფორმაციო დაფების მეშვეობით, მაგალითად ხულოში, შუახევში, ქედაში და აჭარისწყალში. ამასთან, ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებგვერდზე, ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოში.

A.5.5. გაუთვალისწინებელი შემთხვევების გეგმა

გაუთვალისწინებელი შემთხვევების გეგმა შემუშავებულია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სადაც მითითებულია იმაზე, თუ რა ქმედებების განხორციელება დაგეგმილი გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს.

შეხვედრები ჩატარდება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რა დროსაც მათ წარედგინებათ ზემოაღნიშნული გეგმა.

გაუთვალისწინებელი შემთხვევების გეგმა ძირითადად ორიენტირებულია გზის გადაკეტვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მიზეზებზე, მაგალითად მძიმე ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა.

განხორციელება საცდელი გასვლა, რომელსაც ესკორტირებას გაუწევენ საგზაო მოძრაობის მართვის გამოცდილი სპეციალისტი და პოლიცია. საცდელი გასვლა საშუალებას მისცემს პროექტს მიახლოებითი დროის და გაჩერებისთვის შესაფერისი ტერიტორიების გამოვლენაში. გარდა ამისა, პოლიციას შეეძლება იმის განსაზღვრა, თუ სად არის შესაფერისი ტერიტორია დამატებითი გამაფრთხილებელი ნიშნების მოსაწყობად.

A.5.5.1. მოსაზრებები

ექსპედიტორი იქნება დიდი ტვირთების გადაადგილების სპეციალისტი კონტრაქტორი. ექსპედიტორების მიერ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები იქნება აღჭურვილი ჰიდრაულიკური მისაბმელის თანამედროვე ტექნოლოგიით.

დასაქმებულ მძღოლებს ექნებათ მსგავსი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება.

ესკორტირება დასჭირება ნებისმიერ მსგავს ოპერაციას. ესკორტი უზრუნველყოფს სხვა გზით მოსარგებლეების მაქსიმალურ დაცვას დიდი ტვირთების გადატანის პროცესში, რაც გულისხმობს მნიშვნელოვანი საგზაო შემთხვევის თავიდან აცილებას.

A.5.5.2. შემოთავაზებული გაუთვალისწინებელი შემთხვევების ღონისძიებები

ყველა გაუთვალისწინებელი ზომების მიუხედავად მაინც არსებობს ტრანსპორტის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა. ასეთი შემთხვევის დროს მნიშვნელოვანია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც აღმოფხვრავს შექმნილ პრობლემას და მინიმუმამდე დაიყვანს ნორმალური საგზაო მიმოსვლისთვის ხელის შეშლას.

A.6. აღმოჩენების პროცედურა

A.6.1. მიმოხილვა

კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური დაცვა დამოკიდებულია ძირითადი საკითხების ცოდნაზე, შესაბამის შეფასებაზე და დაზიანების ან დანაკარგის მინიმიზაციაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს დღემდე აღმოუჩენელი ძეგლები, 'აღმოჩენის პროცედურა' ჩატარდება იმისთვის, რომ აღმოჩენის შემთხვევაში შეჩერდეს ნებისმიერი საქმიანობა და საკითხში ჩაერიოს არქეოლოგი.

ESMP-ის ეს პარაგრაფი შეეხება პროცედურის გამოყენებას კონტრაქტორების მიერ. "აჭარისწყალი ჯორჯია" გაივლის კონსულტაციებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან, მათ შორის საქართველოს და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სააგენტოებთან. დამატებები და შესწორებები გაკეთდება კონტრაქტორის მიერ.

A.6.2.აღმოჩენის პროცედურა

A.6.2.1. განსაზღვრება

'აღმოჩენის ალბათობა' განისაზღვრება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პროექტის განხორციელების პროცესში აღმოჩენილ იქნება კულტურული მნიშვნელობის ძეგლი.

'ფიზიკური კულტურული რესურსი' (PCR) განისაზღვრება როგორც მოძრავი ან უმოძრავი ობიექტი, საიტი, სტრუქტურა, სტრუქტურათა ჯგუფი და ბუნებრივი მახასიათებლები და ლანდშაფტი, რომელთაც აქვთ არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული რელიგიური, ესთეტიური ან სხვაგვარი მნიშვნელობა. მათი მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს ადგილობრივი, პროვინციის, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

A.6.2.2. მფლობელობა

ნებისმიერი აღმოჩენის მფლობელს განსაზღვრავენ კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სააგენტო.

A.6.2.3. სწავლება

იმისთვის, რომ პროექტის ფარგლებში დასაქმებულ პერსონალს და კონტრაქტორებს შეეძლოთ აღმოჩენის იდენტიფიცირება - მათ ჩაუტარდებათ შესაბამისი სწავლება. მშენებლობის დაწყებამდე კონტრაქტორები ("აჭარისწყალი ჯორჯია"-თან თანამშრომლობით) გაივლიან კონსულტაციებს ზემოთ აღნიშნულ ინსტანციებთან იმისთვის, რომ დანიშნონ სწავლება.

“აჭარისწყალი ჯორჯია” გაუწევს მონიტორინგს ამ პროცესს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეფექტური სწავლება უტარდება პერსონალის სწორ წევრებს.

A.6.2.4. პროცედურა აღმოჩენის შემთხვევაში

სამუშაოების შეჩერება:

- ფიზიკური კულტურული რესურსის აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისმგებელმა კონტრაქტორმა უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი საქმიანობა;
- ზოგიერთ შემთხვევაში აღმოჩენის გაკეთების დროს საჭირო იქნება მთლიანი სამუშაოების გაჩერება, ზოგ შემთხვევაში უშუალოდ აღმოჩენილი ძეგლის სიახლოვეს, ხოლო ზოგჯერ სამუშაოები უნდა შეჩერდეს მხოლოდ გარკვეულ რადიუსში. ეს საკითხი დამოკიდებული იქნება აღმოჩენის ტიპზე რის შესახებაც განაცხადს გააკეთებს არქეოლოგი;
- სამუშაოს გაჩერების შემდეგ კონტრაქტორმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიის ოფიცერს. კონტრაქტორს დაკარგული სამუშაო დროისთვის კომპენსაცია არ გადაეცემა;
- “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიის ოფიცერს აქვს უფლება შეაჩეროს სამუშაოების და განახორციელოს გათხრითი სამუშაოები, თუკი მისი აზრით აღმოჩენა გაკეთდა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია არ გადმოიცა.

სამუშაოს გაჩერების პირობების და მოთხოვნები:

- “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიური ოფიცრის თანხმობით კონტრაქტორი ვალდებულია დახუროს საიტი და დააწესოს შეზღუდვა შესვლაზე. ან შესაძლოა ეკოლოგიურმა კონტრაქტორმა გადაწყვიტოს, რომ აღმოჩენის გადაადგილება შესაძლებელია და ასეთ შემთხვევაში სამუშაოები გაგრძელდება, მაგალითად თუკი აღმოჩენა რაიმე არქეოლოგიური ღირებულების მონეტაა.

აღმოჩენის ანგარიშგება:

- კონტრაქტორი ვალდებულია აღმოჩენის შესახებ განაცხადოს აღმოჩენის გაკეთებიდან ერთი დღის განმავლობაში. ეს მოიცავს მომდევნო ინფორმაციას:
 - აღმოჩენის რიცხვი და დრო;
 - აღმოჩენის ადგილმდებარეობა;
 - PCR-ის აღწერა;
 - აღმოჩენის სავარაუდო წონა და ზომები;
 - დაცვის დროებითი განხორციელებული ღონისძიებები.

ანგარიში წარედგინება “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიის ოფიცერს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიის ოფიცერი აღმოჩენის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს და წარადგინოს ანგარიში.

A.6.2.5. კულტურის წარმომადგენლის მოქმედება

კულტურის წარმომადგენელი (აჭარის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სააგენტო) შეტყობინების მიღების შემდეგ 24 საათის განმავლობაში უნდა ეწვიოს საიტს და დარწმუნდეს იმაში, რომ ყველა საქმიანობა შეჩერებულია. წარმომადგენელი განსაზღვრავს იმ საქმიანობას, რომლებიც მოიცავენ შემდეგს:

- მნიშვნელობის დადგენის შემდეგ ობიექტის გადატანა;
- გარკვეული მანძილის დაცვით გათხრითი სამუშაოების განხორციელება;
- კონტრაქტორის მიერ მითითებული ტერიტორიის გაფართოება ან შემცირება

საქმიანობა უნდა განხორციელდეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში წარმომადგენლის საიტზე მისვლის მომენტიდან.

კონტრაქტორს შეიძლება დაენიშნოს ან არ დაენიშნოს კომპენსაცია (საკითხის “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინება).

თუკი ოფიციალური წარმომადგენელი არ გამოცხადდება 24 საათის განმავლობაში, მაშინ “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიის ექსპერტს ეძლევა უფლებამოსილება გაზარდოს ეს ვადა.

თუკი კულტურის წარმომადგენელი მომატებულ ვადებშიც არ გამოცხადდა, მაშინ ეკოლოგიის ოფიცერს აქვს უფლება კონტრაქტორს ააღებინოს აღმოჩენილი ობიექტი და განაგრძოს საქმიანობა.

ასეთი დამატებითი საქმიანობა შეიძლება აისახოს კონტრაქტში. თუმცა, კონტრაქტორს შესაძლოა არ დაერიცხოს გადადებული სამუშაოს კომპენსაცია.

A.6.2.6. სამუშაოების დამატებითი გადადება

შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში კულტურის წარმომადგენელმა შესაძლოა მოითხოვოს სამუშაოების გადადება უფრო ხანგრძლივი პერიოდით როგორც მთლიან საიტზე, ასევე არქეოლოგიური აღმოჩენის სიახლოვეს. დამატებითი ვადა შეიძლება შეადგენდეს 30 კალენდარულ დღეს ან საჭიროებისამებრ - მეტს.

კონტრაქტორმა შესაძლოა მიიღოს ამ გაცდენილი დროის კომპენსაცია. მაგრამ, კონტრაქტორი იძულებული იქნება შეიმუშაოს ხელშეკრულება კულტურის წარმომადგენელთან დამატებითი მომსახურეობის შესახებ ამ გახანგრძლივებული პერიოდის მანძილზე.

A.6.2.7. სამუშაოების აღდგენა

კულტურის წარმომადგენლისგან თანხმობის მიღების შემდეგ “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიური ოფიცერი დართავს ნებას კონტრაქტორს საქმიანობის განახლების შესახებ.

A.6.2.8. მიმოხილვა

“აჭარისწყალი ჯორჯია”-ს ეკოლოგიური ოფიცერი მიმოხილავს პროცესს და გააკეთებს შესწორებებს საჭიროებისამებრ, მომავალში მსგავსი მოვლენების კიდევ უფრო ეფექტურად სამართავად.

A.6.3. განხორციელება (მონიტორინგი, პერსონალის რესურსები და ბიუჯეტი)

ყველა კონტრაქტორის მოვალეობა იქნება აღმოჩენის პროცედურის ქონა, რომელიც შემუშავებული იქნება პროექტის ცალკეული კომპონენტებისთვის და წარმოადგენს CEMP დოკუმენტაციის პარალელურ გეგმას.

აღმოჩენის პროცედურის განხორციელების მონიტორინგი მსგავსია CEMP-თვის აღწერილი მონიტორინგისა. კონტრაქტორის და “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს პერსონალი ასევე იდენტიფიცირებულია. გარდა ამისა, CEMP-ის მონიტორინგის ზოგადი ბიუჯეტი მოიცავს “აჭარისწყალი ჯორჯია”-ს მონიტორინგის ბიუჯეტს.

A.7. უნარების განვითარების პროგრამა

A.7.1. შესავალი

კონტრაქტორი ვალდებულია შეიმუშაოს უნარების განვითარების პროგრამა. პროგრამის ამოცანა იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების პერსპექტივის შექმნა მათი უნარების განვითარების გზით. ეს პარაგრაფი მოიცავს პროფესიული განათლების საქართველოს სისტემის, შესაბამისი სასწავლო ცენტრების და ასევე ადგილობრივი უნარების და ინტერესის მოკლე მიმოხილვას.

A.7.2. საქართველოს პროფესიული განათლების ფონური მდგომარეობა

A.7.2.1. მიმოხილვა

საქართველოს მთავრობა ამჟამად ახორციელებს რეფორმას პროფესიული განათლების და ტრენინგის (VET) სისტემის გარშემო. ეს პროგრამა შეიქმნა 2005 წელს პოსტ-საბჭოთა ეკონომიკაში საჭირო უნარების არ არსებობის გამო. რეფორმის ფარგლებში ძვირად ღირებული

და მიუღებელი VET ცენტრები დაიხურა, რის შედეგადაც დარჩა 38 VET ცენტრი და 4 უმაღლესი განათლების დაწესებულება, რომელიც სთავაზობს მეორადი ტრეინინგის პროგრამებს. გაუმჯობესების პროგრამა გატარდა 38 VET ცენტრისთვის, რომელთაგან 2010 წლისთვის 17-ში დასრულდა, ხოლო დარჩენილ 21-ში ჯერ კიდევ განხორციელების პროცესშია. ახლა ყველა VET ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს ახალ სტანდარტებს, რომელიც უკავშირდება შემოსავლების გაზრდას და კერძო სექტორისადმი მოთხოვნის ამაღლებას. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა უფრო მოკლე, ტექნიკურ განხრაზე ორიენტირებული პროგრამები.

გამოცდილების დიდი წილი მიღებული იქნა VET პროგრამების რეგულირება ეკონომიკის სექტორის კონკრეტული ბიზნესის მოთხოვნების ან ორგანიზაციების საჭიროებების მიხედვით. კანონის მიხედვით ასეთი თანამშრომლობა მოგების გაზრდის მიზნით დაშვებულია. ამასთან მცირე შემოსავალს წარმოადგენს მოსახლეობის დაინტერესება პროგრამით. შედეგად გამოცდილების დაგროვება მოხდა სხვა კუთხითაც. სახელმწიფო VET ცენტრების გარდა ასევე რეგისტრირებულია 66 ლიცენზირებული ცენტრი, რომელთაგან ნაწილი არ ფუნქციონირებს.

VET რეფორმის მხარდასაჭერად და ასევე ინდუსტრიას და VET ცენტრების უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის დაგეგმილია სექტორის კომიტეტების ჩამოყალიბება. უკვე არსებული კომიტეტები მოიცავენ: საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს (ICT), მშენებლობას და ტურიზმს. გარდა ამისა, საქართველოს გააჩნია პროფესიული ასოციაციების მცირე რაოდენობა, აქედან ყველაზე აქტიურები მონაწილეობენ მშენებლობის და სასოფლო მეურნეობის სფეროებში პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული სტანდარტების მსგავსი სტანდარტების შემუშავება ტრეინინგისთვის იქნებოდა მომგებიანი აჭარისწყლის ჰესების კასკადისთვის. 2010 წლისთვის სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მშენებლობის და სხვა მომსახურეობის სფეროებში მიღებული იქნა 50-მდე სტანდარტი. თუმცა ახალი სისტემის შესრულების პოლიტიკას ჯერ კიდევ სჭირდებოდა გარკვეული დაზუსტებები.

აჭარისწყლის პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნა ტრეინინგსა და დასაქმებაზე სავარაუდოდ იქნება მაღალი. მოქნილ შრომის კოდექსს ჯერ კიდევ არ მოუტანია მოსალოდნელი ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდა. დასაქმების ზრდა 2002-2007 წლებში იყო ნეგატიური 135, 000 და ნეგატიური 2006-2007 წლებში 43,000. ამ ორი წლის განმავლობაში შეიქმნა 69.000 და 42.000 სამუშაო ადგილი, იმ დროს, როდესაც 204,200 და 85.000 სამუშაო ადგილი დაიკარგა. თუმცა ეს მიუთითებს სამუშაოების წარმოქმნის დინამიკაზე. სამსაო ადგილების 70% იყო სამშენებლო ინდუსტრიაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში სთავაზობს დაბალი კვალიფიკაციის და დროებით სამუშაო ადგილებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიაღწა გარკვეული პრობლემები გლობალური ფინანსური კრიზისით, 2010-2011 წლებში GDP გაიზარდა 60%-ით წელიწადში. თუმცა უმუშევრობის დონე კვლავ შენარჩუნდა 16%-ზე.

2008 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, VET ტრეინინგზე ერთ ადგილზე ეწერებოდა 3 მსურველი. იგივე ანალიზმა ცხადყო, რომ VET წარმოადგენს მიმზიდველ პროგრამას მოსახლეობისთვის, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე პირებში. თუმცა, როგორც ჩვენმა მუშაობამ უკვე აჩვენა, მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის უმეტესობა ვერ წარადგენს

თავისი კვალიფიკაციის შესაბამის დამადასტურებელ სერტიფიკატს, გარდა ამისა, დასაქმებული მოსახლეობა ვერ ტოვებს თავის პოსტს განათლების მიღებისთვის.

A.7.2.2. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები

პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები არსებობს ბათუმში და ქობულეთში, რომლებიც სთავაზობენ მოკლე კურსებს სამშენებლო საქმეში, რის საშუალებით რეგიონი მარაგდება ადგილობრივი რესურსებით. თუმცა ეს ცენტრები ადვილი ხელმისაწვდომი არ არის მაგალითად ხულოს მოსახლეობისთვის. ქვემოთ მოცემულ პარაგრაფებში განხილულია პროექტთან ყველაზე ახლო მდებარე პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები.

სსიპ პროფესიული კოლეჯი „შავი ზღვა“ ბათუმში: მსურველების სერტიფიცირება მშენებლობის დარგში. კოლეჯმა მიიღო სარგებელი 2011 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და ასევე მიიღო დაფინანსება UNDP და USAID-გან.

დასახელება	სსიპ პროფესიული კოლეჯი „შავი ზღვა“
მისამართი	# 84, ლერმონტოვის ქ. ბათუმი, საქართველო
ვებსაიტი	www.batumiprof.ge
დირექტორი	თოიძე მაია
ტელეფონი	cell: 577 17 79 20 mob: 577 17 79 20
ელ. ფოსტა	mia-toidze@mail.com

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღა“ ქობულეთში: იგივე ფორმატის და იგივე მომსახურების რაც ბათუმი ცენტრი. ფინანსური მხარდაჭერა მიღებული აქვს ნორვეგიის ლტოლვილების საბჭოს და USAID-გან. ასევე იღებს დაფინანსებას სახელმწიფოსგან 2007 წლიდან.

დასახელება	სსიპ პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღა“
მისამართი	# 154, რუსთაველის ქ. ქობულეთი საქართველო
ვებმისამართი	www.kpc.ge
პროექტის მენეჯერი	ირინა მინაშვილი
ტელეფონის ნომერი.	Tel: 8 426 26-68 51, cell: 555 19 19 51
ელ-ფოსტა	kobcollege@gmail.com , irinaminashvili@gmail.com

ორივე ცენტრს აქვს საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრამა.

A.7.3. ადგილობრივი სამუშაო რესურსები

A.7.3.1. ადგილობრივი ინტერესი

რეგიონში არსებული კვალიფიკაციის განსაზღვრის ფარგლებში ჩატარდა ასევე მოსახლეობის ინტერესების კვლევა. ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა ღია კარის დღე, რომლის დროსაც დარიგდა და შეივსო კითხვარი. კითხვარში დასმული შეკითხვები მოიცავდნენ განათლების დონეს, ენის ცოდნას და არსებულ უნარებს. პროექტის მიმართ ინტერესი მაღალია. ხულოს მუნიციპალიტეტში კითხვარი შეავსო 1500-მა ადამიანმა და ყველამ გამოთქვა მშენებლობის ფაზაზე დასაქმების სურვილი. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი განახორციელებს 600 მუშის ტრეინინგს, არსებობს დასაქმების დიდი პოტენციალი და არჩევანის საშუალება. რეგისტრაციის მიხედვით პოტენციურად დასაქმებულები წარმოადგენენ სხვადასხვა კვალიფიკაციის და ხშირად არასერტიფიცირებულ მუშებს.

A.7.3.2. არსებული უნარები

უნარების კვლევამ აჩვენა სჭირო უნარების სიმცირე, შესაბამისად ადგილობრივი უნარების განვითარების პროგრამა ძალიან დიდ დადებით ზემოქმედებას იქონიებს ზოგადად რეგიონზე, ამახვილებს რა ყურადღებას ისეთ უნარებზე, როგორიც არის მშენებლობა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და ინგლისური ენა.

ცხრილი 6.6. ხულოს მუნიციპალიტეტის უნარები

უნარი	ადამიანების რაოდენობა
პროფესიული სწავლების კვალიფიკაცია	
უნარი - შემდუღებელი, მღებავი, ბეტონის სპეციალისტი, ტრაქტორისტი, სატვირთო მანქანის ოპერატორი	693
უნარის გარეშე - მშენებლობაზე ან დამხმარე მომსახურებაში მუშაობის გამოცდილება, სერთიფიკატის გარეშე	308
სხვა (დამხმარე სერვისში მუშაობა - მზარეული, მძღოლი, ა.შ)	348
უმაღლესი განათლება (ბაკალავრი, მაგისტრი, აკადემიკოსი, ა.შ)	
მშენებლობა (ინჟინერი, სამოქალაქო ინჟინერი შესაბამისი გამოცდილებით	56
დამხმარე მომსახურება (ადმინისტრაცია, იურისტი, თარჯიმანი, ბუღალტერი, ჯანმრთელობის სფერო, აშ)	58
სხვა	163

A.7.3.3. ადგილობრივი ეკონომიკური კონტექსტი

ხულოს 5 სოფელში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესწავლილ იქნა. უნდა აღინიშნოს, რომ შედეგები მთელს რეგიონზე აუცილებლად არ ვრცელდება.

- მოსახლეობის უმეტესი წილი არის 25-55 ასაკის, დაახლოებით 45% ვიდრე საქართველოს საშუალო მაჩვენებელი - 43%;
- აქ საკმაოდ დაბალი დასაქმების მაჩვენებელია, მხოლოდ 14%. თუმცა აქ არ იგულისხმება საკუთარ მიწაზე მომუშავე მოსახლეობა;
- დასაქმებული მოსახლეობის უმრავლესობა მუშაობს სკოლებში, ადგილობრივ ადმინისტრაციულ შენობებში, სამედიცინო დაწესებულებებში ან მაღაზიებში;
- სამსახურის ძიებაში მოსახლეობის ქალაქებში მიგრირების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. კვლევის შედეგებით, ოთხი ოჯახიდან ერთი წევრი (23.5%) წასულა ქალაქში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში;
- ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, აჭარის უმუშევრობის დონემ შეადგინა 22%-ზე მეტი, ეს კი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია (16.3%);
- უმაღლესი განათლება რეგიონში არის 20%, ხოლო საქართველოს მასშტაბით 26%.

ცხრილი 6.7. მოსახლეობის გადანაწილება აჭარის სოფლებში ასაკის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	საქართველოს %	აჭარის %
0 - 4	6.2%	2.3%
5 - 14	10.8%	14.9%
15 - 24	15.4%	13.1%
25 - 34	15.1%	17.1%
35 - 44	13.6%	17.1%
45 - 54	14.4%	10.9%
55 - 64	10.7%	10.3%
65 - 74	7.6%	7.4%